ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 6 ივნისი 2007 №127 (3050) ფასი 50 თეთრი

# საფრანგეთი 18:16 საქართველო







## მასპინძლები ერთი გუნდით არც კი დაინტერესდნენ
## ვინ ისეირებს დღეს ოსერში?

კოტე ინასარიძე ოსერიდან

ძალიან მძიმე დღეშია საქართველოს ნაკრები. ეროვნული გუნდის მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი მატჩის განაცხადს ბოლომდეც ვერ ავსებს. მეკარეები: ლომაია, ჭანტურია, მაკარიძე; მცველები: კალაძე, ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ლვინიანიძე, ონიანი, ელიავა, სალუქვაძე; ნახევარმცველები: კვირკველია, ბურდული, კანკავა, მუჯირი; თავდამსხმელები: იაშვილი და მარცვალაძე — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებთან მატჩისას საქართველოს ღირსების დაცვა ოსერში მყოფ 21 ფეხბურთელიდან მხოლოდ ამ ჩვიდმეტს შეუძლია. ჩვიდმეტს კი ერთი მეკარეც გამოვაკლოთ და 18-კაციან განაცხადში ორი გვარის ადგილი ცარიელი დარჩება.

შევახსენებთ, რომ ოსერში გუნდთან ერთად კობიაშვილი, დემეტრაძე და ცქიტიშვილიც არიან, მაგრამ მათ დისკვალიფიკაციის, ხოლო მჭედლიძეს ტრავმის გამო არ შეუძლიათ თამაში. ნაკრებს გუშინწინ მენთეშაშვილიც გამოაკლდა...

ასეთი ამბებია ოსერულ ბანაკში და გუშინ დაგეგმილ პრესკონფერენციაზე ამის თაობაზე კლაუს ტოპმიოლერისთვის უნდა მეკითხა კიდეც, მაგრამ...

აი, საქმე როგორ იყო: საქართველომ, წესითა და რიგით, მატჩის წინა დღეს ვარჯიში იმ სტადიონზე დაგეგმა, სადაც უნდა ითამაშოს. ტოპმიოლერმაც, შესაბამისად, პრესკონფერენცია იქვე, სტადიონზე, ვარჯიშამდე 45 წუთით ადრე დანიშნა. დათქმულ დროს, ანუ 8-ის 15 წუთზე სტადიონზე მივედი. იქ კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე სანდრო ცნობილაძემ სიტყვა დამახვედრა, პრესკონფერენცია არ იქნებაო.

თურმე ნუ იტყვით და, მთელი ფრანგული მასმედია ოსერიდან 50 კილომეტრის მოშორებით მდებარე ქალაქ მიჟენში წასულა. ფრანგთა ნაკრები საქართველოსთან სათამაშოდ სწორედ იქ დაბინავდა და ტოპმიოლერის კოლეგა რაიმონ დომენეკმაც პრესკონფერენცია მიჟენში იმ დროს გამართა, როცა ტოპმიოლერი ფრანგ ჟურნალისტებს „აბე დეშანზე" ელოდა. ცხადია, მასპინძლებს თავიანთი ნაკრები უფრო აინტერესებთ, მაგრამ ის კი ნამდვილად გასაკვირია, საქართველოს ნაკრების მწვრთნელის პრესკონფერენციაზე ერთი ფრანგიც რომ არ გამოჩენილა. იყო მხოლოდ ერთი ოპერატორი, რომელიღაც ადგილობრივი ტელევიზიიდან და მორჩა... ასე ჩაიშალა პრესკონფერენცია და, ვიდრე ნაკრები „აბე დეშანს" მოადგებოდა, ტოპმიოლერმა და მისმა თანაშემწემ რალფ მინგემ სავარჯიშო-სამატჩო გეგმებს ერთხელაც გადახედეს. ამასობაში კი სტადიონზე ნაკრები გამოჩნდა. ვარჯიშიც უმალ დაიწყო. მეკარეები, როგორც ყოველთვის, მეკარეთა მწვრთნელმა გაიხმო, დანარჩენები კი ორ ჯგუფად გაიყვნენ და კვადრატი გააჩაღეს. ამათ შორის არ ჩანდა ლადო ბურდული, თუმცა ის მოგვიანებით კუთხურის ნიშნულთან „ამოვაჩინე". კლაუს ტოპმიოლერი და მისი ძმა ჰაინცი ლადოს მარცხენა ფლანგიდან კუთხურების ჩაწოდებაზე ავარჯიშებდნენ. მწვრთნელის მითითებით, ბურთი საჯარიმოში დასარტყმელ პოზიციაზე, მკერდის სიმაღლეზე უნდა წასულიყო. ბურდული საქმეს გულმოდგინედ ასრულებდა და ერთ-ორჯერ ისეთი ჩააწოდა, ტოპმიოლერს ახალგაზრდობა გაახსენა და თავური გოლები სულ ცხრიანებში გაატანინა. უკვე ცხადია, რომ დღეს მარცხნიდან კუთხურებს ბურდული ჩააწვდის. საკითხავი ისაა, ის ამის გაკეთებას რამდენჯერ მოახერხებს, სხვები კი მის ჩაწოდებულს რამდენად ეფექტურად გამოიყენებენ.

ის იყო, ბურდული მორიგი კუთხურის ჩასაწოდებლად ემზადებოდა, ხოლო თავად ფოტოაპარატის ფოკუსის გასწორებას ვცდილობდი, სტადიონის დაცვის თანამშრომელი მომადგა და იქაურობის დატოვება მთხოვა. გამიკვირდა და მეუცნაურა, მაგრამ რა გაეწყობოდა. როგორც ყოველთვის, ნაკრების მატჩისწინა ვარჯიში მწვრთნელების მოთხოვნით ამჯერადაც ათი წუთის შემდეგ დაიხურა და, შესაბამისად, პოლიციელის სიტყვასაც უნდა დავმორჩილებოდი. თუმცა კარგი იქნებოდა, ამის თაობაზე ქართველ ჟურნალისტებს ადრევე გვცოდნოდა და ალარც დაგეგმილ პრესკონფერენციას დაველოდებოდით, ალარც ვარჯიშის დასრულებას და ტოპმიოლერს დახვავებულ პრობლემებზე იქამდე ვკითხავდით. ახლა კი რა გამოვიდა?!

სასტუმროში დაბრუნებულმა ჰოლში კომპიუტერთან მომუშავე ფრანგი შევნიშნე — საფრანგეთის ნაკრების ფოტოებს არჩევდა. მივხვდი, კოლეგა იყო და გამოველაპარაკე. აღმოჩნდა, რომ მიჟენიდან ახალდაბრუნებული აქ მუშაობდა. გამოველაპარაკე, მაგრამ საინტერესო ვერაფერი გავიგე. დომენეკს პრესკონფერენციაზე გაცვეთილი ფრაზებით მოუბეზრებია თავი და საქართველოზეც ისე უთქვამს, როგორც მეტოქე მწვრთნელები ამბობენ ხოლმე: ძლიერი მეტოქე გვყავს და წამით მოდუნებამ, შესაძლოა, ცუდი შედეგი მოგვიტანოსო. ან კიდევ: ქართველები ცნობილ გუნდებში თამაშობენ, მაგალითად, ერთი ქართველი ჰოლანდიაში არისო...

ბოლოს კი ამ ათ ფეხბურთელს ჩამოვთვლი, რომლებიც დღეს ალბათ ფრანგებს დაუპირისპირდებიან: კარში, სავარაუდოდ, ლომაია იქნება, დაცვაში ხიზანიშვილი-ხიზანეიშვილი-კალაძე-შაშიაშვილი. შუა ხაზში მარცხნივ კვირკველია, შუაში კანკავა და ელიავა, მარჯვნივ ბურდული, თავდასხმაში — იაშვილი. მეთერთმეტე კი, ვფიქრობ, უფრო სალუქვაძე იქნება, რომელმაც, შესაძლოა, მეორე საყრდენი ნახევარმცველის მოვალეობა შეასრულოს. არც ისაა გამორიცხული, კანკავას საყრდენის პოზიციაზე ელიავა შეუწყვილდეს, ხოლო გამთამაშებლობა მუჯირმა იკისროს. ვნახოთ, დაველოდოთ 23 საათს...

ისე, როგორია ფრანგებთან 16-კაციანი შემადგენლობით სტუმრობა? მატჩის ოქმის ნახვა მართლაც ძალიან საინტერესოა...



# ცხვარი, ბატონებო, ცხვარი!

## სულელური გოლით წაგებულმა საქართველომ ქართველებიც და ესპანელებიც გააკვირვა: ტრიბუნისგან ბევრი ტაში, მეტოქისგან ბევრი ქება




AFP

# დომენეკი წუწუნებს და ზარების ეშინია

## საქართველო აუცილებელია!

**საქართველოსთან** დღევანდელ შეხვედრას საფრანგეთის ნაკრები დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მათი მწვრთნელი რაიმონ დომენეკი ფეხბურთელების არყოფნით არის შეშფოთებული — ექვსი წამყვანი მოთამაშე ფრანგებს ჯერ კიდევ უკრაინის მატჩამდე აკლდათ, რის შემდეგაც მეკარე გრეგორი კუპემ მუცლის არეში ტკივილის გამო გამოაკლდათ და დღევანდელ მატჩში მას პარისენჟერმენელი მიკაელ ლანდრო შეცვლის.

ასევე საეჭვო გახდა მცველ უილიამ გალასის თამაშიც. ლონდონის „არსენალის" ფეხბურთელს ბარძაყი აწუხებს და რაიმონ დომენეკს მის შემცვლელად სევილიელი ჟულიენ ესკუდე შეუგულებია.

დომენეკის აზრით, ყველაფერთან ერთად ფრანგებს არც კალენდარი აქვთ სახარბიელო და თავისი ფეხბურთელებისგან მაქსიმალურ მონდომებას ითხოვს.

„მხოლოდ უკრაინელებთან მოგება ბევრს არაფერს ნიშნავს, დღევანდელი მატჩიც არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი გუნდისთვის. ქართველებთან მარცხი ყველა წინა წარმატებას წყალში ჩაგვიყრის, ამიტომაც მხოლოდ მოგებაზე უნდა ვიფიქროთ...

...მართალია, ჯერჯერობით ჯგუფში პირველ ადგილზე ვართ და საშინაო თამაშები ყველაზე უკეთ ჩავატარეთ, მაგრამ წინ არასახარბიელო მატჩები დაგვრჩა — ნოემბერში ჩვენ არ ვთამაშობთ, ბოლო მატჩი კი უკრაინაში გვაქვს ჩასატარებელი, მაშინ როდესაც ჩვენს კონკურენტებს ამ დროს მშვენიერი კალენდარი აქვთ... ოქტომბერში ლიტვასთან მოგებაც კი ვერ მოგვცემს დამშვიდების საშუალებას...

...ქართველებთან თამაში ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც ძნელი იქნება. ახლა სატრანსფერო პერიოდია და ფეხბურთელებს სატელეფონო ზარებით ხშირად აწუხებენ. ამიტომაც ვუფრთხი ამ მატჩს და ბიჭებს მაქსიმალურად ვამზადებ ფსიქოლოგიურად" — განაცხადა დომენეკმა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

# გოგუა თბილისში ვიზამ ჩამოიყვანა



**როგორც** გუშინდელ „სარბიელში" გამცნეთ რამენსკოეს „სატურნის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა გაჯი გაჯიევმა გოგიტა გოგუა ყაზანის „რუბინთან" ამხანაგურ მატჩში 18-კაცა განაცხადშიც არ შეიყვანა.

როგორც გაირკვა, გოგუას უთამაშებლობა გაჯიევის ახირება სულაც არ ყოფილა — ჩვენებური „რუბინთან" მატჩის დღეს თბილისში წამოსულა და ახლა აქ იმყოფება. მიზეზი კი სავიზო ვადის ამოწურვაა და ჩვენებური ამის მოგვარებას ცდილობს საქართველოში.

როგორც რამენსკოეს „სატურნის" ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, სავიზო პრობლემა მალე უნდა გადაწყდეს და ქართველ ფეხბურთელსაც დღე-დღეზე ელიან გუნდში.

მიხეილ ჟორჟოლიანი

# ოლიმპმა ორბელაძეც შეიმატა

**საქართველოს** ჩემპიონმა რუსთავის „ოლიმპმა" მცველი სერგო ორბელაძე დაიმატა.

ორბელაძე გასული სეზონის მეორე წრეში ბოლნისის „სიონში" თამაშობდა, მანამდე კი თბილისის „დინამოშიც" იყო და გუნდის კაპიტანიც გახლდათ.

სერგო უკრაინაშიც იყო და მარიუპოლის „ილიჩევეცის" დუბლებში თამაშობდა.

ოთარ მხეიძე

# ისევ დინამო — კარლ ცაისი და ისევ გერმანიაში...

**როგორც** ყველა ქართული გუნდი, თბილისის „დინამოც" შვებულებაშია და 13 ივნისს შეიკრიბება — სამშობლოშია დინამოელთა ჩეხი მწვრთნელი დუშან უჰრინი.

გუნდი სამი დღე თბილისში ივარჯიშებს, 16-21 ივნისს კი ბაკურიანში მოემზადება: როგორც წესი, პირველი შეკრება ფიზიკურ ვარჯიშებს დაეთმობა.

26 ივნისს კი „დინამო" გერმანიაში გაემგზავრება ორკვირიან შეკრებაზე, სადაც რამდენიმე ტესტ-მატჩსაც გამართავს. ერთი სპარინგ-მეტოქე უკვე ცნობილია — 9 ივლისს უჰრინის სამწყსო მეორე-ბუნდესლიგელ „კარლ ცაისს" გაეჯიბრება.

თითქმის გადაწყვეტილია ხორვატიის ერთ-ერთ ტიტულოვან გუნდთან, სპლიტის „ჰაიდუკთან" ამხანაგური თამაშიც. ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს გერმანიის პირველ და მეორე ბუნდესლიგურ კლუბებთან: „ბოხუმი", „ესენითი" და აუე.

„დინამო" გერმანულ შეკრებას 10 ივლისს დაასრულებს და მალევე საუეფასთასო მატჩებიც მოუკაკუნებს.

რაც შეეხება ფეხბურთელთა შესაძლო წასვლა-მოსვლას: გიორგი შაშიაშვილი იჯარით იყო „დინამოში" და იგი კლუბს აღარ ეკუთვნის. სამაგიეროდ, დინამოელებს რამდენიმე მოთამაშე ჰყავდათ სხვა კლუბებში განათხოვრებული და ყველანი გუნდს ბაკურიანში გაჰყვებიან.

რაც შეეხება ბომბარდირ სანდრო იაშვილს, მისით ბევრი ევროპული კლუბია დაინტერესებული, მათ შორის, გერმანული, დანიური და შვეიცარიული.

ილია ნანობაშვილი

# ამერის ფრთიანი ტრანსფერები: ალავიძე და შალამბერიძე



**სეზონი** ახლახან დასრულდა, საქართველოს თასის მფლობელმა, თბილისის „ამერმა" კი ორი ტრანსფერი უკვე თითქმის გაჩარხა: გიორგი ჩიხრაძის გუნდს ორი ნახევარმცველი, არჩილ ალავიძე და კობა შალამბერიძე შეემატებიან.

ალავიძე ბოლნისის „სიონის" მარცხენაფლანგელი და გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელიც გახლდათ. მასთან კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, თუმც ეს დროის ამბავილაა.

ცნობისთვის, არჩილმა გასული სეზონის პირველ წრეში ულამაზესი ჯარიმა გაუტანა „ამერს".

რაც შეეხება შალამბერიძეს, მან სეზონი პირველლიგელ აგარის „მეშაქრეში" დაიწყო, მეორე კი „ბათუმში" გაატარა და გოლი თუ საგოლე პასები ბლომად შეაშველა ზღვისპირელებს. ფლანგელ ნახევარმცველ შალამბერიძეს თბილისის „დინამოში", „სპარტაკში" და ქუთაისის „ტორპედოშიც" უთამაშია.

ილია ნანობაშვილი



## ევროპის 2009 წლის U-21 ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

UNDER21 CHAMPIONSHIP

ბულგარეთი 1:2 ჩერნოგორია
სლოვენია 2:1 ლიტვა
მალტა 0:1 უნგრეთი

## არგენტინა

კლაუსურა
XVII ტური

რივერ პლეიტი 0:1 გოდოი კრუზი

## შვედეთი

თასის მერვედფინალი

ბრომაპოიკარნა 1:1დ.დ. (4:5) იოსტერსი

## ამხანაგური მატჩები

იაპონია 0:0 კოლუმბია
ქუვეითი 1:1 პორტუგალია
ბრაზილია 0:0 თურქეთი
არგენტინა 4:3 ალჟირი

ახალგაზრდულები (U-21)

შვედეთი 0:0 შვეიცარია
ინგლისი 5:0 სლოვაკეთი

## ბრაზილია

სერია A. IV ტური

ინტერნასიონალი 2:0 ნაუტიკო

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ევრო 2009. შესარჩევი ეტაპი IV ჯგუფი. I ტური

UEFA UNDER21 CHAMPIONSHIP

თბილისი. 5 ივნისი. 20 საათი. ეროვნული. 5 000 მაყურებელი

## საქართველო 0:1 ესპანეთი

0:1 ენრიკე (76)

| | |
|---|---|
| საქართველო: ლორია, ლობჟანიძე, გ. კაშია, გ. ფოფხაძე, ნავალოვსკი, ბჟალავა, შ. გრიგალაშვილი (ხიდეშელი 72), მერებაშვილი (ბარაბაძე 81), გ. ჭელიძე, კახელიშვილი, ს. კობახიძე (ყენია 77) | ესპანეთი: ხიმენესი, მიგელ ტორესი, ხოსე ენრიკე, პიკე, ტორეხონი, პალიარდო, რაულ გარსია, სისინიო, ხისკო (კრკიჩი 67), ხურადო (არსო 90) ალფარო (ლეონი 70) |
| სათადარიგონი: თევდორაძე; სანაია, დაუშვილი, ბენაშვილი | სათადარიგონი: ადანი; მონრეალი, ხავი მარტინესი, მარკოსი |
| მწვრთნელი: პეტარ სეგრტი | მწვრთნელი: ინაკი საესი |

გაფრთხილება: ფოფხაძე (22), გრიგალაშვილი (38), ხურადო (49), პალიარდო (55), ენრიკე (61, 88), ტორეხონი (90)

გაძევება: ენრიკე (88)

მსაჯები: რ. კრანიჩი; რ. ზირნშტეინი, ბ. ული; რ. პონისი (ყველა სლოვენია)

უეფას დელეგატი: ბ. კარელი (შვეიცარია); დამკვირვებელი: ა. ფროსტი (ისრაელი)



რევაზ ბარაბაძის დარტყმა და...

# თავს ნუ დახრით!

## ჩვენთვის ბოლო წუთი არ არსებობს

ილია ნანობაშვილი

**წაგების** მეტი რა გვინახავს ქართველებს, ბევრჯერ მოსაგები წაგვიგია, ბევრჯერაც სტადიონზე მისვლა შეგვზარებია, ისე შევრცხვენილვართ. გუშინ არც ერთი იყო და არც მეორე: ვერავინ იტყვის, პეტარ სეგრტის დამოძღვრილ ქართველებს უნდა ემარჯვათო, მაგრამ მეტოქეს აღარ იკითხავთ? ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრები და მწვრთნელი ინაკი საესი — სახელები უკვე მაღალ ნოტაზე ჟღერს.

საქართველომ მაგრად იბრძოლა, გუნდს გუნდურობა ეტყობოდა და თავისუფლად შეიძლებოდა, ტალანტჭარბი ესპანეთი ორქულანაკლული წასულიყო შინ. აკი, გულშემატკივრებმაც ტაშით გააცილეს სეგრტის ბიჭები, ადრინდელივით სტვენა-ღრიანცელი, ქოქოლა და ბოთლების სროლა არ ყოფილა.

...მსაჯის მიერ დამატებული წუთებია, ჩვენებმა ბურთი აუტიდან ესპანელთა საჯარიმოში ჩააგდეს, სადაც რევაზ ბარაბაძე დატრიალდა, მცველი ჩამოიშორა, ხუთიოდ მეტრიდან დაარტყა და პირინეელთა მეკარე რობერტო ხიმენესმა მკვდარი ბურთი მოიგერია... ამაზე რეალური საგოლე მომენტი არც ქართველებს და არც ესპანელებს არ ჰქონიათ.

მაგრამ ესპანეთმა სხვანაირი გოლით მოიგო. მცველმა ხოსე ენრიკემ საჯარიმოს გარედან დაჰკრა და აშკარა იყო, გიორგი ლორია დარტყმას არ ელოდა — არც გადამხტარა, ისე გაუშვა ახლო კუთხეში. ეს 75-ე წუთზე მოხდა...

მანამდეც და ამის შემდეგაც საესის გუნდი აქტიურობდა, ტანჩია მარჯვენა ნახევარმცველმა სისინიომ გიორგი ნავალოვსკის სისხლი გაუშრო — რაც პირველ ტაიმში ლორიას კართან ხიფათი შეიქმნა, სწორედ ამ ხუჭუჭა ფლანგელისგან იყო. სისინიოს კანფეტივით პასისას ჯერ ხისკომ ააცილა თავური, მერე მადრიდის „ატლეტიკოს“ გამთამაშებელმა მანუელ ხურადომ მიაყოლა უზუსტო დარტყმა, ერთხელაც ლორიამ აუღო რთული ბურთი ალეხანდრო ალფაროს.

ორივე გუნდი მკაფიოდ გამოხატული 4-2-3-1-ით თამაშობდა, ნავალოვსკის გასაჭირზე უკვე ვთქვით, აი, მის მოპირისპირე ფლანგზე მოთამაშე უჩა ლობჟანიძეს კი იმდენი დატვირთვა არ ჰქონია, თუმცა ლობჟანიძე ცენტრშიც ხშირად იწევდა და გურამ კაშია-გიორგი ფოფხაძის წყვილს გვარიანად ეხმარებოდა. საყრდენ ნახევარმცველებს, მირზა ბჟალავასა და შოთა გრიგალაშვილს ასევე დიდი ჯაფა დაადგათ, რაც შეეძლოთ, იბრძოდნენ და რაულ გარსიასა და მიგელ პალიარდოს თავს არ ახაგვრინებდნენ.

სეგრტს ეულ ფორვარდად გიორგი ჭელიძე ჰყავდა, ვინაც მეორე ტაიმში დაიღალა, თორემ იქამდე კი აწუხებდა ესპანელ მცველებს. სანდრო კობახიძე და გიორგი კახელიშვილი გარემარბებად იყვნენ, თუმც ეფექტი ვერ გვანახეს. გიორგი მერებაშვილი კი ძალიან ბევრს მოძრაობდა, ოღონდ ფიზიკურად მოისუსტებდა და „მატაობას“ — რაც საქართველოს ჩემპიონატში მშვენივრად გამოსდის — გუშინ არავინ აცლიდა.

მთლიანობაში, მხოლოდ საწყისი 10-15 წუთი იყო ელვისებური შეტევები, თორემ მერე ტაქტიკური ბრძოლა წარიმართა, ორივე გუნდი ფრთხილობდა და მეტოქის შეცდომის გამოჭერაზე იყვნენ.

სეგრტის ხელი ქართველებს ეტყობოდათ, მაგრამ მწვრთნელი ალბათ ნანობს, რომ ლევან ყენია და რევაზ ბარაბაძე უფრო ადრე არ შეუშვა მინდორზე.

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ჩვენებმა გოლი კაცნაკლულობისას გაუშვეს — სანდრო კობახიძე დაშავდა, სეგრტმა კი ლამის სკამი დაამტვრია, რადგან შეცვლის გაკეთება დროულად ვერ მოასწრო. თუმც მწვრთნელმა პრესკონფერენციაზე გვითხრა, ლევანი სხვა პოზიციაზე გვინდოდა, შეგვეყვანაო...

ჯგუფის უდავო ფავორიტთან 0:1 — ცხადია, წაგება ძნელი ასატანია, მაგრამ როცა მომავლის იმედი ჩანს, ცოტა გულს გაიმაგრებს კაცი.

### პრესკონფერენცია

*ინაკი საესი:* ქართველებისგან ასეთ თამაშს არ ველოდი, ჟინიანი და ძნელად დასამარცხებელი ნაკრები გყოლიათ. განსაკუთრებით კი მეკარე, მარჯვენა და ცენტრალური მცველები და ცენტრალური თავდამსხმელი მომეწონა.

...პირველ ტაიმში საგოლე მომენტები საკმაოდ გვქონდა და ქართველთა მეკარის ყოჩაღობის ბრალია, ანგარიში რომ ვერ გავხსენით. მასპინძლებს მხოლოდ ბოლო წუთზე ჰქონდათ რეალური საგოლე შანსი. მთლიანობაში კი ამ თამაშის სადავეების დაპყრობა ძალიან გაგვიჭირდა.

*პეტარ სეგრტი:* ერთ-ერთ უძლიერეს მეტოქესთან წავაგეთ. სულელური გოლი გავუშვით, თორემ ჩემი გუნდი კარგად იყო ორგანიზებული. მხოლოდ ათი დღეა, ბიჭები ერთად ვარჯიშობენ და ეს თამაშშიც დაეტყოთ.

...ყენიას იძულებით მოუხდა კობახიძის ადგილზე თამაში, არადა, ლევანი ცენტრიდან შეტევების გასაძლიერებლად გვინდოდა, შეგვეყვანა. სამწუხაროდ, კობახიძის ტრავმამ და გაშვებულმა გოლმა გეგმები აგვირია...

...სამწუხაროდ საქართველოს ყველა ასაკობრივი ნაკრები ასეა — ბოლო წუთზე გოლის გატანა რატომღაც არ შეგვიძლია.

...მინდა, ქომაგებს მადლობა გადავუხადო...





2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

# ჩვენი მეტოქეები



ფილიპო ინძაგი

AFP

# ქართველებთან მოგება იტალიელებთან ფრეა?

## ლიტვა — იტალია

**ბალტიისპირელები** მსოფლიოს ჩემპიონებთან მატჩს კარგ განწყობაზე ხვდებიან. ეს სტიმული მათ შაბათს საქართველოსთან მოგებულმა მატჩმაც მისცა და თან, მათი პირველი შეხვედრა იტალიაში 1:1 დასრულდა, რაც ამ ქვეჯგუფში ჯერჯერობით ყველაზე მყვირალა სენსაციაა.

ლიტველები იმავე შემადგენლობით ითამაშებენ, როგორც ჩვენებთან. ყველა ფეხბურთელი ჯანზეა და ალგიმანტას ლიუბინსკასი გამარჯვებული შემადგენლობის შეცვლას არ აპირებს.

„იტალიასთან მატჩს კარგი განწყობით ვხვდებით. ჩვენი უპირატესობა იმაშია, რომ ფავორიტად არავინ გვთვლის. ასე იყო საქართველოს ნაკრებთანაც, მაგრამ მოვიგეთ. იტალიას მხოლოდ მოგება სჭირდება, ჩვენ კი ამას არავინ გვთხოვს. ეს ხელ-ფეხს უფრო გვიხსნის და თამამი თამაშის საფუძველს გვაძლევს. თუ საქართველოს ნაკრებს მოვუგეთ, რატომ არ შეიძლება, იტალიასთან ფრე ვითამაშოთ?“ — განაცხადა ლიტველთა კაპიტანმა ტომას დანილევიჩუსმა, რომლისთვისაც იტალია უცხო არაა, რადგან იქაურ „ბოლონიაში“ თამაშობს.

თავის მხრივ, იტალიელებს მოგება სჭირდებათ, რადგან შოტლანდია-უკრაინა მხოლოდ ქულით ჩამორჩებიან აპენინელებს და მშვიდად ყოფნის უფლებას არ აძლევენ.

„აძურის“ ამ მატჩისთვის ჯანლუკა ძამბროტა და მასიმო ამბროზინი დაუბრუნდებიან, თუმც მსოფლიოს ჩემპიონებისთვის დამრტყმელი ძალა მაინც ფილიპო ინძაგი იქნება. პიპომ ბოლო მატჩებში ახალგაზრდობა გაიხსენა და მოედანს უგოლოდ არ ტოვებს. ინძაგი გოლს ბალტიისპირელებთანაც გეგმავს და დარწმუნებულია, რომ იტალია ამ შეხვედრას მოიგებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სენსაციური კუნძული

## ფარერები — შოტლანდია

**შოტლანდიის** ნაკრები ფარერის კუნძულებს უძლიერესი შემადგენლობით ვერ ეწვევა, თუმც სპეციალისტები სქოთებს მაინც ფავორიტებად მიიჩნევენ და ევროპულ საბუქმეიკერო კანტორებშიც აქციები მათ მოგებაზე უფრო მაღალია.

შოტლანდიელთა მწვრთნელ ალექს მაკლიშს შეტევის ხაზის ერთგვარი გადახალისება მოუხდა — ტრავმირებულების, ჯეიმს მაკფადენისა და კენი მილერის არყოფნაში მაკლიშმა მოსკოვის „ლოკომოტივის“ თავდამსხმელი გარი ოკონორი, რომელმაც ხუთი დღის წინ ავსტრიასთან ამხანაგურ მატჩში გადამწყვეტი გოლი გაიტანა და კილმარნოკელი სტივენ ნეისმიტი მიიწვია.

ტრავმა მიილო მეკარე იან ტურნერმა და მის მაგივრად სქოთების ფორმას აბერდინელი ჯიმი ლანგფილდი მოირგებს, თუმც კრეიგ გორდონის ყოფნისას ძირითადში მისი მოხვედრა საეჭვოა.

ფარერებთან თამაშს ასევე ტრავმების გამო ვერ შეძლებენ რასელ ანდერსონი, სკოტ ბრაუნი და ლი მაკკალოხი. მაკლიშს განსაკუთრებით მაკკალოხი აღელვებს — ლი სქოთთა წამყვანი ფეხბურთელია.

მაკლიშის აზრით, ფარერებთან მატჩის ბედი სამ ფეხბურთელზე — ფერგიუსონი, ფლეტჩერი, ბოიდი — იქნება დამოკიდებული.

თავის მხრივ, უქულო ფარერები პირველი ქულის მოპოვებას შოტლანდიასთან გეგმავს, მით უმეტეს, რომ ფარერელთა სენსაციათა უმეტესობა სწორედ სქოთებთან მოდის — ორი ფრე.

პირველი სენსაცია 1999 წლის 5 ივნისს გაჩარხეს, როდესაც იმავ ტოფტირტში, სადაც დღეს გაიმართება მატჩი, 1:1 ითამაშეს. მაშინ ჯონსტონის გოლს ჰანსენმა 87-ე წუთზე უპასუხა და ფრესაც გამოჰკრა ხელი.

8 წლის წინანდელი სენსაციური მატჩის მონაწილეთაგან დღეს მოედანზე ორი მათგანი გავა — სქოთი დევიდ ვეირი და ფარერელთა მეკარე იაკუპ მიკელსენი.

სხვათა შორის, მაშინ ამ ჯგუფში ლიტვის ნაკრებიც თამაშობდა და კუნძულელებმა მათთანაც მოახერხეს ერთი ქულის აღება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 15:2 | 15 |
| იტალია | 6 | 4 | 1 | 1 | 11:6 | 13 |
| უკრაინა | 6 | 4 | 0 | 2 | 8:6 | 12 |
| შოტლანდია | 6 | 4 | 0 | 2 | 11:6 | 12 |
| ლიტვა | 6 | 2 | 1 | 3 | 4:5 | 7 |
| საქართველო | 7 | 2 | 0 | 5 | 13:13 | 6 |
| ფარერები | 7 | 0 | 0 | 7 | 2:25 | 0 |

**geo_geo_fan@hotmail.com**

## გინდ კაპელო, გინდ საკი, გინდ მალდინი...

# მათი გოლები მაინც ჩვენს გულებში გადის

დღეს საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონსა და, ბევრის აზრით, მსოფლიოს საუკეთესო გუნდს, საფრანგეთს ხვდება.
ეროვნული ნაკრების მატჩების წინ, როგორც წესი, გულშემატკივრები გამამხნევებელ წერილებს გვწერენ ხოლმე, მაგრამ...
მაგრამ ლიტვასთან შერცხვენის მერე სულ რამდენიმე დღეა გასული და არც აღშფოთება, წყენა თუ იმედგაცრუებაა ჩავლილი.
ერთი სიტყვით, ქართველ გულშემატკივარს საქართველოს ნაკრებისგან ხეირის იმედი არ აქვს! უფრო სწორად კი, საქართველოს ამ ნაკრებისგან. ხალხი ცვლილებებს ელის...

**ZARANDONA:** „სარბიელს“ გაუმარჯოს. ახლა არ მოვყვები ჩემს ემოციებს, რომ ეს დღეები რაღაც მაწუხებს და ეს წუხილი ჩვენი ნაკრების სამარცხვინო წაგებიდან მომდინარეობს. არც იმას მოვყვები, რომ ასეთი დღეები, როცა რაღაც გაწუხებს და ეს წუხილი ყოველთვის საქართველოს ნაკრების წაგებებიდან მომდინარეობს, უკვე 15 წელია გრძელდება... აუუუუუუ... 15 წელი...

ერთი მინდა ვთქვა, ქვეყანაში, სადაც ასეთი არჩევნები იმართება (გუშინ ხომ ეწერა ერთგულ გულშემატკივარს, რომ „კიკერში“ დაწერილა, ასეთი არჩევნები მსოფლიო ისტორიას არ ახსოვსო), სადაც ცხოვრების უამრავ და თითქმის ყველა სფეროში უსამართლობა, ტყუილი და უვიცობაა, ლიტვასთან 0:1 წაგება წარმატებაა.

თორემ ფეხბურთელებს, მე თუ მკითხავთ, ბევრი არაფერი დაუშავებიათ. მათი ფეხები ისევე დარბიან, როგორც სხვა თამაშებზე, უბრალოდ, ტვინში უდევთ გარეწრების ქვეყნის შვილობა.

მიყვარხარ, საქართველო!

შენი დროც მოვა!

ისეთი დროც მოვა, სხვა ქვეყნის ნაკრების ფეხბურთელებს ჩვენი ჰიმნის შესრულების დროს ფეხები რომ აუკანკალდებათ!

**GIO8I:** „სარბიელს“ და მის ყველა მკითხველს გაუმარჯოს. დიდი ხანია, აღარ მომიწერია არაფერი და ვიფიქრე, რომ არც საფრანგეთთან თამაშის მერე მექნება მოწერის ხალისი და განწყობა. ამ ნაკრებმა ჯერ კიდევ შოტლანდიაში გამოაჩინა თავისი უუნარობა და მერე ფარერებთანაც. ერთადერთი იმედი შოთა არველაძე იყო და ისიც წავიდა, ახლა დავრჩით შემთხვევითობის იმედად. ლიტვასთან მოგება შემთხვევით უნდოდა ტოპმიოლერს. ახლა ამ თამაშით ვერ მოუგებ ვერავის და ტოპმიოლერის თავის მართლება უაზროდ მეჩვენება. ახლა „სარბიელში“ წავიკითხე კლაუსის ინტერვიუ, ველოდი, რომ მარცხისგან დასკვნებს გამოიტანდა, ის კი ბედს უჩივის. რა დავუშავეთ ამისთანა, არც ერთი მომენტი არ მახსენდება, რომელშიც ბედმა არ გაგვიმართლა, ასპროცენტიანი მომენტი არ გვქონია ლიტვასთან მატჩში. ამოვიდა ყელში ამდენი თავის მართლება, ბედი არ გვწყალობს, ფეხბურთელები გადაღლილები არიან, ის რომ გვყოლოდა, ეს რომ გვყოლოდა... უაზრობაა ეს ყველაფერი! საფრანგეთთან თამაშიც ჩაივლის და მორიგი შერცხვენის მერე წავა ტოპმიოლერი გერმანიაში, აღარ ჩამოვა სექტემბრამდე და ამაში იღებს მილიონებს?! დარჩეს და უყუროს ქართული გუნდების თამაშებს, გინდ ევროთასებზე და გინდ ეროვნულ ჩემპიონატში, მაგრამ ვიცი, რომ არ უყურებს, არ აინტერესებს და იმიტომ. დაუჯერებელია, რომ სანდრო იაშვილი ან ბურდული ან წინამძღვრიშვილი ან გოგუა და კიდევ ორისამი ნიჭიერი ფეხბურთელი ვერ ჯობდეს მარცვალაძეს და კიდევ ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელს. გამოვიდეს ახლა ახალკაცი და თქვას, რაში უხდიან ფულს ამ გერმანელებს, რას აკეთებენ ესენი ისეთს, რასაც თუნდაც ძოძუაშვილი ან კიდევ რომელიმე ქართველი, ასე თუ ისე წარმატებული მწვრთნელი ვერ გააკეთებდა. უფრო და უფრო უკან მიდის ნაკრების თამაში. შოტლანდიიდან მოყოლებული არაფერი არ კეთდება კარგი ნაკრებში, სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, არც საფრანგეთთან მოხდება არაფერი კარგი და არც შემოდგომაზე გასამართ ოთხ დარჩენილ მატჩში. ასეთია რეალობა და უნდა გაიწმინდოს ნაკრები როგორც მწვრთნელებისგან, ასევე ფეხბურთელებისგან, იმათგან, ვინც შემთხვევით არის ქართულ ფეხბურთში მოხვედრილი. ახალი სისხლია საჭიროა, ახალი სახეებია საჭირო, როგორც ზევით, ისე ქვევით.

**KANDELAKI:** გაუმარჯოს. ასე დაღლილი და იმედგაცრუებული არასდროს ვყოფილვარ. მას მერე, რაც ნაკრებმა ლიტვასთან სამარცხვინო მარცხი იგემა, ორი დღეა, გულშემატკივართა ტკივილს ვკითხულობ ჩვენს გაზეთში და მეც გადავწყვიტე მომეწერა.

რაც დღე მახსოვს, რაც საქართველოს ეროვნული ნაკრები ჩამოყალიბდა, წარუმატებლობის საწყისს სულ მწვრთნელში ვეძებდით. კი ბატონო, მაგრამ მართლა ასეა? წინა ნომერში ბევრი კრიტიკა წავიკითხე და მოვისმინე ტოპმიოლერის მიმართ, მეც ვუერთდები კრიტიკოსებს, მაგრამ, ვფიქრობ, ამ გუნდში ტოპმიოლერი კი არა, კაპელო, არიგო საკი, ჩეზარე მალდინი და ბორა მილუტინოვიჩიც რომ ჩამოიყვანონ, ნაკრების თამაშს პროგრესი არ დაეტყობა. მიზეზი კი შემდეგშია... თევდორე მღვდელმა საქართველოსთვის თავი დადო. ლიტვასთან მოთამაშე ფეხბურთელებიდან ცოტა თუ გაიმეტებდა კოჭს ჩვენი ქვეყნისთვის. ლიტვის ნაკრებს ბარე ათი თავით ჯობნიან ჩვენი ფეხბურთელები და მწვრთნელები, მაგრამ თამაშს მაინც ისინი იგებენ. თურქეთის ნაკრები ბარე ათი თავით ჯობია ბოსნიას, მაგრამ მებრძოლმა ბოსნიელებმა პრინციპულ მატჩში (და არა ამხანაგურში) დაამარცხეს თურქები. საფრანგეთთან? წავაგებთ... იმედია, ეს ჩემი პროგნოზი არავის გააკვირვებს. და იცოდეთ, ქართველებო, ვინც ჩვენს ღირსებას იცავს, ჩვენს კარში გაშვებული გოლები ჩვენს გულებში ხვდება. ჩვენს გულებს უკვე მოხვდა ის, რაც ფედერაციაში დაატრიალეს!!! რასაც ვთესავთ, იმას ვიმკით.

**P.S.** პირველ წერილში, საჭიროდ ჩავთვალეთ და, ერთი აბზაცი ამოვიღეთ. იმედი გვაქვს, ავტორი მიგვიხვდება, რატომაც. თუმცა იმასაც მოგახსენებთ, რომ ავტორის მოსაზრება ამით არ დამახინჯებულა.

**geo_geo_fan@hotmail.com**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი



AFP

## ლიოვი კლოზეს არ ეშვება

D ჯგუფი

**გერმანია — სლოვაკეთი**

**სლოვაკეთთან** მატჩის წინ იოახიმ ლიოვის ერთადერთი სადარდებელი მიროსლავ კლოზეს უხეირო თამაშია. „ვერდერის" ფორვარდმა სან მარინოსთან 6:0 მოგებულ მატჩში გოლი ვერ გაიტანა და გუნდიდან ამოვარდნილი ჩანდა. მისი შალკელი მეწყვილე კევინ კურანი კი გაცილებით უკეთესი იყო, ხოლო შეცვლაზე შესულმა შტუტგარტელმა მარიო გომესმა დუბლი შეასრულა.

მიუხედავად ამისა, იოახიმ ლიოვი მიროსლავ კლოზეს ენდობა, კვლავ ძირითად შემადგენლობაში დააყენებს და შანსს მისცემს, 21 წლის გომესი კი სათადარიგოებში დარჩება.

გერმანიამ სლოვაკეთი ოქტომბერში სტუმრად 4:1 დაამარცხა. ოთხი გოლის გამტანი სამი კაცი — მიხაელ ბალაკი, ბასტიან შვაინშტაიგერი და ლუკაშ პოდოლსკი ტრავმირებულნი არიან და დღეს ვერ დაეხმარებიან ნაკრებს.

„სლოვაკეთი დაცვაში ისე ჩადგება, როგორც სან მარინო — თქვა ლიოვმა — ამიტომ უფრო მეტი სიზუსტე და სისწრაფე დაგვჭირდება. ვფიქრობ, რომ სამ ქულას ავიღებთ".

სლოვაკებს დააკლდებათ ფორვარდი მარეკ მინტალი, რომელიც „ნიურნბერგში" თამაშობს და „შტუტგარტთან" გერმანიის თასის ფინალში დაშავდა. მინტალის თანაკლუბელი ვრასტისლავ გრეშკოც ვერ ითამაშებს, ისევე როგორც მოსკოვის დინამოელი მარტი იაკუბოვი, „პორტუს" მცველი მარეკ ჩეხი, „რეინჯერსის" ფორვარდი ფილიპ სებო და „ლიბერეცის" მცველი პეტერ სინგლარი.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 6 | 5 | 1 | 0 | 27:3 | 16 |
| ჩეხეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 15:4 | 14 |
| ირლანდია | 7 | 4 | 1 | 2 | 12:8 | 13 |
| სლოვაკეთი | 6 | 3 | 0 | 6 | 15:11 | 9 |
| უელსი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:9 | 7 |
| კვიპროსი | 6 | 1 | 1 | 4 | 9:16 | 4 |
| სან მარინო | 6 | 0 | 0 | 6 | 1:37 | 0 |

## ბერძნული შანსი

C ჯგუფი

**საბერძნეთი — მოლდოვა**

**ევროპის** ჩემპიონები მოლდოვას თუ დაამარცხებენ, ჯგუფში გაბატონდებიან.

შაბათს ბერძენთა უნგრეთთან მოგებამ, ბოსნიაში კი თურქების წაგებამ ოტო რეჰაგელის გუნდი ოსმალო მდევრისგან ორი ქულით დააწინაურა. დღეს თურქები არ თამაშობენ და ელინთა გამარჯვების შემთხვევაში ხუთი ქულით გაექცევიან ფათიჰ თერიმის გუნდს.

რეჰაგელის აზრით, უნგრეთთან მატჩის პირველი ტაიმი ევრო 2004-ის შემდეგ მისი ნაკრების შესრულებით საუკეთესო ტაიმი იყო. მწვრთნელმა სამოლდოვოდ რამდენიმე ცვლილება გააკეთა. ბერძნები დღეს სამი ფორვარდით შეუტევენ — მარცხნივ ამანატიდისი იქნება, შუაში გეკასი, მარჯვნივ კი ხარისტეასი. 6 მატჩში 13 გოლის გამშვებ მოლდოვას დაცვას მძიმე წუთები ელის.

„დღეს ალბათ მოვიგებთ, მაგრამ კიდევ ბევრი და რთული მატჩი გველის — თქვა კაცურანისმა — თეორიულად მოლდოვა უნგრეთზე სუსტია, თუმც ჩვენ სერიოზულად ვემზადებით".

ბერძენთა კაპიტანი ანგელოს ბასინასი დისკვალიფიკაციის გამო დააკლდება გუნდს და მის ნაცვლად „ოლიმპიაკოსის" ნახევარმცველი ვასილის ტოროსიდისი ითამაშებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ნორვეგია — უნგრეთი**

**ბოსნია — მალტა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 10:4 | 15 |
| თურქეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 16:6 | 13 |
| ნორვეგია | 6 | 3 | 1 | 2 | 13:5 | 10 |
| ბოსნია | 6 | 3 | 1 | 2 | 13:13 | 10 |
| უნგრეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:10 | 6 |
| მალტა | 6 | 1 | 1 | 4 | 5:14 | 4 |
| მოლდოვა | 6 | 0 | 2 | 4 | 3:13 | 2 |

## თამაგაწეწილები ტალინში

E ჯგუფი

**ესტონეთი — ინგლისი**

**სადაც** დევიდ ბექჰემია, რია-რიაც იქაა. ტალინურმა გაზეთმა ესტონეთში დევიდ ბექჰემის ჩასვლა დალაი ლამას ვიზიტს შეადარა, ხოლო მასპინძელთა ნახევარმცველმა რაგლარ კლავანმა თქვა, ჩვენი გოგონები თმებს გაიწეწავენო.

ესტონელებზე მეტად კი ინგლისელ ფანებს უხარიათ ნაკრებში რეალელის დაბრუნება. პარასკევს ბრაზილიასთან მატჩში საუცხოოდ ითამაშა და ჯონ ტერიმაც გოლი მისი პასით გაიტანა.

ინგლისი ჯგუფში მეოთხე ადგილზეა და თვით რუსეთი და ისრაელიც კი უსწრებენ. ნაკრების მწვრთნელ სტივ მაკლარენის საქმე კი ამის გამო ცუდადაა, თუმც დღეს ალბათ მოგება არ გაუჭირდება გუნდთან, რომელსაც ექვს მატჩში გოლიც არ გაუტანია და ქულაც არ აუღია.

ბრაზილიასთან ნათამაშები შემადგენლობიდან სტივ მაკლარენი ნახევარდაცვას არ შეცვლის. ჯო კოული, სტივენ ჯერარდი, ფრენკ ლამპარდი და ბექჰემი ისევ იქნებიან, შეტევაში კი ალან სმიტის ნაცვლად, შესაძლოა, პიტერ კრაუჩი იყოს მაიკლ ოუენთან ერთად.

„ბრაზილიასთან მატჩამდე ვთქვი, რომ ესტონეთთან იმავე შემადგენლობით არ ვითამაშებდით, ვნახავ, ვინ როგორ ფორმაშია და მერე გადავწყვეტ" — თქვა მაკლარენმა.

ესტონელთა თავკაცმა იელე გოესმა კი განაცხადა: „როგორც ქომაგს, ნაკრებში დევიდ ბექჰემის დაბრუნება გამიხარდა, მაგრამ ტალინში რომ ითამაშებს, ეს ჩვენთვის სასიხარულო არაა. ჩემს გუნდს ზედიზედ ორი მატჩი ასეთი ძლიერი გუნდების წინააღმდეგ არ უთამაშია და ხორვატიის შემდეგ ინგლისთან ჭიდილი ძალიან გაგვიჭირდება."

მასპინძელთა მეკარე მარტ პოომმა, რომელიც ახლახან „არსენალიდან" „უოტფორდში" გადავიდა, დევიდ ბექჰემს სამაგალითო ფეხბურთელი უწოდა: „ბავშვებმა მისგან უნდა ისწავლონ. მისი შესრულებული საჯარიმოები და პასები უნიკალურია. ნებისმიერი პატარა ქვეყნის ნაკრები ცდილობს, რომ ინგლისთან გულიანად ითამაშოს და ჩვენც ვეცდებით."

**ხორვატია — რუსეთი**

**ხორვატებს** შინ 32 მატჩია, არ წაუგიათ და სერიის გაგრძელებას მდევარი რუსეთის ძლევით აპირებენ. მასპინძელთა მწვრთნელი სლავენ ბილიჩი დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი, რომელიც 1994 წლის შემდეგ მსოფლიოს თუ ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ საშინაო შეხვედრებში არ დამარცხებულა, რუსეთთან სამი ქულის ალებით ევრო 2008-ისკენ დიდ ნაბიჯს გადადგამს.

„ჩემპიონატები დასრულებულია და ბიჭები დაღლილები არიან, რუსეთის პრემიერლიგა კი ახლა გახურდა. მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ ჩემი ფეხბურთელები ბრძოლას შეძლებენ. ფრეც არ იქნება ურიგო შედეგი, თუმც გვინდა, რომ ქომაგები გამარჯვებით გავახაროთ" — თქვა ბილიჩმა.

მასპინძლებს ძირითადი შემადგენლობიდან ტრავმირებული არავინ ჰყავთ და კვლავ ეიმედებათ ედუარდო და სილვასი, რომელმაც 6 მატჩში 6 გოლი გაიტანა. შაბათს მისი გატანილით სტუმრად ესტონეთს მოუგეს. და სილვას შეტევაში ცსკა-ს ყოფილი თავდამსხმელი ივიცა ოლიჩი დაეხმარება.

რუსებს არ ეყოლებათ მეკარე იგორ აკინფეევი, ვინც ექვსი თვით გამოაკლდა გუნდს. მის ნაცვლად ვიაჩესლავ მალაფეევი დაიცავს კარს, ხოლო დინიარ ბილიალეტდინოვი ვარჯიშზე დაშავდა და შეიძლება, ვერ ითამაშოს. რუსეთმა შაბათს ანდორას 4:0 კი მოუგო, მაგრამ მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა განაცხადა: „ძალიან ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ უსუსტეს გუნდთან და იმავე შეცდომებს ხორვატია არ გვაპატიებს."

**ვაჟა ხუციშვილი**

**ანდორა — ისრაელი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 6 | 5 | 1 | 0 | 16:4 | 16 |
| რუსეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 11:1 | 14 |
| ისრაელი | 7 | 4 | 2 | 1 | 15:7 | 14 |
| ინგლისი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:2 | 11 |
| მაკედონია | 7 | 2 | 1 | 4 | 5:7 | 7 |
| ესტონეთი | 6 | 0 | 0 | 6 | 0:11 | 0 |
| ანდორა | 6 | 0 | 0 | 6 | 1:26 | 0 |



დევიდ ბექჰემს ტალინში დიდი ამბით დახვდნენ

AFP

A ჯგუფი

**ყაზახეთი — აზერბაიჯანი**

**სომხეთი — პოლონეთი**

**ფინეთი — ბელგია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 15:6 | 19 |
| პორტუგალია | 7 | 4 | 2 | 1 | 15:5 | 14 |
| სერბეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:4 | 14 |
| ფინეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:5 | 11 |
| ბელგია | 7 | 2 | 1 | 4 | 5:9 | 7 |
| ყაზახეთი | 7 | 1 | 2 | 4 | 4:10 | 5 |
| სომხეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 2:7 | 4 |
| აზერბაიჯანი | 7 | 1 | 1 | 5 | 3:16 | 4 |

F ჯგუფი

**შვედეთი — ისლანდია**

**ლატვია — დანია**

**ლიხტენშტაინი — ესპანეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩრდ. ირლანდია | 6 | 4 | 1 | 1 | 10:7 | 13 |
| შვედეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:4 | 12 |
| ესპანეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 11:6 | 12 |
| დანია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:2 | 7 |
| ისლანდია | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | 4 |
| ლიხტენშტაინი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:16 | 4 |
| ლატვია | 5 | 1 | 0 | 4 | 4:5 | 3 |

G ჯგუფი

**ბულგარეთი — ბელარუსი**

**რუმინეთი — სლოვენია**

**ლუქსემბურგი — ალბანეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 12:4 | 14 |
| ჰოლანდია | 6 | 4 | 2 | 0 | 8:2 | 14 |
| ბულგარეთი | 6 | 3 | 3 | 0 | 9:3 | 12 |
| ბელარუსი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:13 | 7 |
| ალბანეთი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:6 | 6 |
| სლოვენია | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | 4 |
| ლუქსემბურგი | 6 | 0 | 0 | 6 | 1:11 | 0 |



# ბექემი და რაღაცა

**დევიდ ბექემმა** იცის, რომ ესტონეთის ნაკრების წინააღმდეგ ფიზიკურად ჩინებულად იქნება მომზადებული. ამის გარანტიას მას აძლევს ახალი იაპონური „რაღაც“, სახელად „კინესიო ტეიპინგი“.

ეს იაპონური სიახლე-სიგიჟე კუნთების შეკვრის საშუალებაა, რომელიც 32 წლის ვარსკვლავს ზურგის ტკივილს გაუქრობს.

ტეიპინგის, ანუ შეკვრა-შებოჭვა-გაკავების ეს მეთოდი იაპონელებს 1970 წლის შემდეგ შეუყვარდათ, მას მერე, რაც დოქტორმა კენზო კასემ პირველი ნაბიჯები გადადგა, მას მერე კი ხერხმა დიდი გავრცელება ჰპოვა, უპირველეს ყოვლისა, პროფესიონალ სპორტსმენებში. დღეს ლაპარაკია დიდი პლასტირების დაკვრაზე, რაც სპორტსმენის კუნთებს უფრო ელასტიურს ხდის.

„კინესიო“ დევიდ ბექემს მადრიდის „რეალის“ ექიმებმა და ფიზიოთერაპევტებმა გააცნეს. მათ ინგლისელ ვარსკვლავს იაპონური „რაღაც“ „დეპორტივო ლა კორუნიასთან“ ბოლო შეხვედრაში დააკრეს და პლასტირმაც თავი არ შეირცხვინა — დევიდმა თავი იმდენად კარგად იგრძნო, რომ ორი საგოლე პასი ჩააწოდა თანაგუნდელებს.

„რეალის“ ექიმთაგანი, დოქტორ ხუან კარლოს ერნანდესი: „ჩვენში „კინესიო ტეიპინგი“ დაახლოებით ერთი წელიწადია, რაც დაინერგა. ბექჰამდე ეს პლასტირი სხვა ფეხბურთელებმაც გაიცნეს, მაგრამ ბექემის პოპულარობამ სხვა ეფექტი მოახდინა: მას მერე, რაც დევიდმა ამ პლასტირით ფოტო გადაიღო, მასზე მოთხოვნა მთელ მსოფლიოში გაორმაგდა და გასამმაგდა. პლასტირი საგანგებო მასალისგან არის გაკეთებული, ელასტიური გახლავთ და საუცხოოდ მოქმედებს კუნთებზე“.

**ბაჩუნა ძიძია**

# მე ლონდონში მოვკვდე, დავიმარხო

**ჟოზე მაურინიუ** არ მალავს, რომ ლონდონის სიყვარულით მზად არის, „კრისტალ პალასის“ მწვრთნელადაც კი დაიწყოს მუშაობა, თუმცა მისი მიზანი, ბუნებრივია, „ჩელსიში“ დარჩენაა — პორტუგალიელს სურს, 2012 წლის ოლიმპიადას კვლავ ინგლისის დედაქალაქში და, რაც მთავარია, „სტემფორდ ბრიჯზე“ შეხვდეს.

თუმცა, ლონდონი... თურმე მაურინიუ და მისი ოჯახი ამ ქალაქში თავს ისე კარგად გრძნობენ, რომ ოჯახის თავი „ჩელსიდან“ წასვლის შემთხვევაში მზად არის, პრემიერლიგის დაბლა დაეშვას და „ჩემპიონშიფის“ გუნდშიც კი დაიწყოს მუშაობა.

„ლონდონი საუცხოოა — ამბობს 44 წლის მწვრთნელი და თან რა მწვრთნელი — მართალია, ფეხბურთში წინასწარ არავინ იცის, როდის რა მოხდება, მაგრამ მე ძალიან მინდა, 2012 წლის ოლიმპიადას ამ ქალაქში შევხვდე. თანაც, მთავარი სულაც არ არის, „ჩელსის“ მწვრთნელი ვიქნები თუ „კრისტალ პალასის“, მთავარი ისაა, რომ ლონდონმა 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება მიიღო. ჩემთვის, კაცისთვის, რომელიც ფეხბურთში მუშაობს და რომლის ცხოვრებაც ფეხბურთისგან შედგება, ლონდონი წარმოუდგენლად კარგი ქალაქია. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რამდენი დიდი კლუბია ლონდონში... და რამდენია პრემიერლიგაში? მერედა, მთელი ქალაქი ფეხბურთზე უზომოდ არის შეყვარებული. ლონდონი ის ქალაქია, სადაც ყოველ კუთხეში ფეხბურთის სუნი ტრიალებს“.

**ბაჩუნა ძიძია**

# რა ფანდს უკეთებენ რაფას



**ახალი** ინგლისური ინტრიგა: „ჩელსი“ სატრანსფერო ბაზარზე „ლივერპულის“ გულის გასახეთქად გააქტიურდა — „ლურჯები“ რაფა ბენიტესის დიდი ხნის ოცნების, ბრაზილიელი მცველის დანიელ ალვეშის შეძენას ცდილობენ.

დიახ, ბენიტესს დიდი ხანია, ალვეშის „ენფილდ როუდზე“ გადაყვანა სურს, მაგრამ პრობლემა აქვს: სანამ „ლივერპულის“ ახალი, ამერიკელი მეპატრონეები არ ეტყვიან, რამდენ ფულს აძლევენ, ვერ ინძრევა, ლონდონელები კი ამასობაში კონკრეტულ საქმეს აკეთებენ — „სანის“ ჟურნალისტებმა გამოიძიეს, რომ „ჩელსის“ აკადემიის დირექტორი ფრენკ არნესენი სევილიელი ვარსკვლავის აგენტს პარკ ლეინზე, „ჰილტონში“ შეხვდა და 12 მილიონი გირვანქა უხსენა.

ალვეში 25 წლისაა, მას შეუძლია, როგორც დაცვის ცენტრში, ასევე მარჯვენა ფრთაზე თამაში. მართალია, ის გვარიანად დაბალია, მაგრამ უშიშარია და ორთაბრძოლებში იმარჯვებს.

შეგახსენებთ, რომ დანიელ ალვეში პარასკევს „უემბლიზე“ გამართულ ინგლის — ბრაზილიის შეხვედრაშიც მონაწილეობდა. ეს შეხვედრა 1:1 დამთავრდა და მცველისთვის ეროვნული გუნდის მაისურით მეხუთე გახლდათ. ალვეშის დიდი პლუსია ისიც, რომ იგი ესპანეთის მოქალაქეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ინგლისში მუშაობის უფლებას წვალების გარეშე მისცემენ.

სხვათა შორის, დანიელ ალვეშის შეძენით მადრიდის „რეალიც“ არის დაინტერესებული და, როგორც ესპანური გაზეთები წერენ, მხარეებს შორის პირობები თითქმის შეთანხმებულია, მაგრამ, რაც საქმეში ლონდონიდან ახალი მოთამაშე ჩაერთო, არ არის გამორიცხული, ძალთა თანაფარდობა შეიცვალოს.

ამბობენ იმასაც, რომ „ჩელსის“ მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ ალვეშში პაულუ ფერეირასა და ხალიდ ბულარუზს ცვლის.

მოკლედ, მაურინიუ მარჯვენა მცველის პრობლემის მოგვარებას (ბენიტესის გულის გახეთქვით) ცდილობს. გასულ სეზონში „ჩელსის“ პორტუგალიელმა თავკაცმა ამ პოზიციაზე ხუთი ფეხბურთელი სცადა: ფერეირა, ბულარუზი, ლასანა დიარა, ჯერემი და მიკაელ ესიენი, მაგრამ, ვაგლახ, კმაყოფილი ვერ დარჩა. სხვათა შორის, ამ დღეებში მაურინიუმ „პორტსმუთიდან“ გლენ ჯონსონიც იქირავა — ეს ახალგაზრდა ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების წევრი კი არის, მაგრამ ჯერ ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი.

**ბაჩუნა ძიძია**

# ბრამბლი უიგანს შეეკედლა

**„ნიუკასლის“** ყოფილი მცველი ტიტუს ბრამბლი თავისუფალი აგენტის სტატუსით „უიგანში“ გადავიდა. 25 წლის ფეხბურთელი კლუბის პირველი შენაძენია.

შეგახსენებთ, რომ „უიგანის“ მწვრთნელი ამჟამად კრის ჰათჩინგსია, რომელმაც ერთი თვის წინ პოლ ჯუელი შეცვალა.

„ბრამბლი დიდებული ფეხბურთელია — თქვა ჰათჩინგსმა — დაცვის ხაზს საგრძნობლად გააძლიერებს“.

ტიტუს ბრამბლმა „უიგანთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი 2002-ში „იფსვიჩიდან“ გადავიდა „ნიუკასლში“ და 105 მატჩი ითამაშა, მაგრამ მაისში, „კაჭკაჭებში“ მწვრთნელად სემ ალარდაისის მისვლის შემდეგ უთხრეს, რომ მისი დახმარება აღარ სჭირდებათ და ხელშეკრულება აღარ გაუგრძელეს.

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## კლოდ მაკელელე

ნახევარმცველი

დაიბადა 1973 წლის 18 თებერვალს კინშასაში (კონგო)

სიმაღლე: 1,74 მეტრი, წონა: 70 კგ

კარიერა: 1992-97 წლები — „ნანტი“ (169 მატჩი, 9 გოლი), 1997-98 წლები — „მარსელი“ (32 მატჩი, 2 გოლი), 1998-2000 წლები — „სელტა“ (70 მატჩი, 3 გოლი), 2000-03 წლები — „რეალი“ (126 მატჩი, 0 გოლი), 2003 წლიდან — „ჩელსი“ (127 მატჩი, 2 გოლი)

1995 წლიდან თამაშობს საფრანგეთის ნაკრებში (53 მატჩი, 0 გოლი)





## MERCEDES SLR

გამოშვების თარიღი: 2005 წელი

სიგრძე: 4,656 მეტრი

სიგანე: 1,908 მეტრი

სიმაღლე: 1,261 მეტრი

წონა: 1 768 კგ

ცილინდრი: 8

ძრავის კუბატურა: 5,5

ავტომატური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 334 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 3,8 წამში

ფასი: 450 000 დოლარი

რიკარდუ იზეკსონ დუშ სანტუშ ლეიტე... მასზე უკვე დაუფარავად ამბობენ, წლეულს „ოქროს ბურთს“ მოიგებსო. ამბობენ და, თუ ასეა, ალალიც იქნება — „მილანის“ ბრაზილიელ პლეიმეიკერ კაკაზე მოგახსენებთ, რომელმაც წუხელ თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში ითამაშა თურქეთის წინააღმდეგ და დღეიდან უკვე შვებულებაშია.

რიკის (მას ასეც ეძახიან) თურქებთან მატჩამდე „გაძეტა დელო სპორტის“ კორესპონდენტი ესაუბრა და ინტერვიუ, რომლის თარგმანსაც სრულად გთავაზობთ, ვფიქრობთ, „სარბიელის“ მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს...



AFP

# ყველაფერი მინდა!

## კაკა მილანზე და ანტიმილანზე

— „ოქროს ბურთისთვის“ თქვენს მთავარ კონკურენტად ვის თვლით?

— რა თქმა უნდა, კრიშტიანუ რონალდუს, რომელმაც, არ შევცდები, თუ ვიტყვი, „მანჩესტერ იუნაიტედს“ ინგლისის ჩემპიონობა პირადად მოაგებინა. რონალდუს ფანტასტიკური სეზონი ჰქონდა. ის ჩემი მეგობარიცაა.

— თქვენ და რონალდუ, გასაგებია. მესამე კანდიდატი?

— ულაპარაკოდ, პაოლო მალდინი. ვერ წარმომიდგენია, რომ პაოლოს, ამ მართლაც ლეგენდარულ ფეხბურთელს, ეს ჯილდო აქამდე არ მოუგია.

— ახალი სეზონისთვის უახლოეს გეგმაში რა გაქვთ?

— მსურს, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონი გავხდე, ანუ საკონტინენტთაშორისო თასი მოვიგო. ჩემთვის, როგორც ბრაზილიელისთვის, ამ პრესტიჟული თასის მოგება ძალიან მნიშვნელოვანია.

— და სკუდეტო?

— მიუხედავად იმისა, რომ „იუვენტუსი“ სერია A-ში დაბრუნდა, ვფიქრობ, იტალიის ჩემპიონობისთვის მხოლოდ „მილანი“ და „ინტერი“ იბრძოლებენ. ახლა აღარ იქნება ქულების დაკლება და ჯარიმები და ვნახოთ, ვინ მოიგებს.

— თამამი და იმავდროულად განაწყენებული კაცის განცხადებაა...

— წყენა არაფერ შუაშია, უბრალოდ, რაც „მილანში“ ვარ, სკუდეტო ჯერ არ მომიგია და მინდა, იტალიის ჩემპიონის მედალი, რაც შეიძლება, მალე დავაგემოვნო. კალჩოპოლის სკანდალმა გასულ სეზონში გეგმები მაგრად აგვირია, თუმც სეზონი ფანტასტიკურად დავამთავრეთ — ჩემპიონთა ლიგა მოვიგეთ.

— მასიმო მორატი და ინტერელები არც მალავდნენ, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ლივერპულს“ ქომაგობდნენ...

— მიუხედავად იმისა, რომ „მილანი“ და „ინტერი“ ერთმანეთზე არიან გადაკიდებულნი, ნაღდად არ მეგონა, თუ ასე მოიქცეოდნენ. არ გაგვხარებია, „ინტერმა“ რომ მოიგო სკუდეტო, მაგრამ ჩვენი განწყობა საჯაროდ არსად დაგვიფიქსირებია. მათ კი... უნდა გენახათ, ჩემს ელექტრონულ ფოსტაზე რამდენი ანტიმილანური წერილი მოვიდა. ცხადია, ქომაგებისა სჭარბობდა, თუმც არც „ინტერის“ რამდენიმე წარმომადგენელმა თუ ფეხბურთელმა დააკლო ხელი. მათთან პოლემიკას და ჩხუბს ნამდვილად არ ვაპირებ, უბრალოდ, ერთს შევპირდები ინტერისტებს — ისინი ჩემპიონები კარგა ხანს ვერ გახდებიან!

— ამასობაში, კარლო ანჩელოტიმ „მილანთან“ კონტრაქტი გააახანგრძლივა...

— ძალიან გამიხარდა, დავურეკე და ვუთხარი, ახლა ჩვენ, სულ ცოტა, 2011 წლამდე ვიქნებით გუნდში და ამ ხნის მანძილზე ყველაფერი უნდა მოვიგოთ-მეთქი. საკონტინენტთაშორისო თასი, სკუდეტო, ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერთასი იტალიის თასი და სუპერთასი. კოლექციის შეგროვება ძალიან მიყვარს.

— გამოდის, მადრიდის „რეალმა“ უნდა დაგივიწყოთ...

— დიახ, ასეა. არ მსურს ამ „რეალში“ გადასვლა და რა ვქნა?! მე და ჩემი ოჯახი მილანში ძალიან ბედნიერები ვართ, აქ ყველაფერი მაკმაყოფილებს და არ მესმის, პრესას საიდან მოაქვს ამდენი ჭორი, თითქოს უკვე „რეალზე“ ვოცნებობდე. ვამბობ, „რეალი“ მართლაც კარგი გუნდია, მაგრამ ჩემთვის მთავარი „მილანია“.

— ანჩელოტის ახალი თავდამსხმელი სურს...

— მე კი მინდა, რომ შევჩენკო დაგვიბრუნდეს. ანდრეის ტელეფონით ხშირად ვესაუბრები და გამუდმებით ვთხოვ დაბრუნებას. ფეხბურთი დაუნდობელია, ხან გაგიმართლებს, ხანაც არა. არ შეიძლება, პირდაპირ თქვა, ნახვამდის, მე წავედიო. შევას დაბრუნება რთული იქნება, მაგრამ შეუძლებელი არაფერია.

— ეს თუ არ გამოვიდა, მაშინ ანჩელოტის ალტერნატივად სამუელ ეტოო ან ტიერი ანრი ჰყავს...

— ორივე ბრწყინვალე ფორვარდია, მათ გვერდით თამაში ჩინებული იქნება, მაგრამ მე მაინც შევჩენკოს ვამჯობინებ. მეტს ვერაფერს გეტყვით.

— რონალდინიო?

— ბოლო სამი თვის მანძილზე მის „მილანში“ შესაძლო გადმოსვლაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ერთხანს მეც ველაპარაკე რონის, მაგრამ გეტყვით, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვა. რონალდინიო „ბარსელონაში“ ძალიან ბედნიერია და კარგა ხანს იქ დარჩება. ისევე, როგორც მე „მილანში“.

— ალბერტო ჯილარდინო გუნდიდან წასვლას აპირებს...

— ვიმედოვნებ, რომ გადაიფიქრებს. ჯილა, როგორც ფეხბურთელი და როგორც პიროვნება, ბრწყინვალეა. იგი ჩვენთვის ძალიან საჭირო კაცია.

— რონალდომ წონაში მაგრად დაიკლო...

— და ნახავთ, ახალი სეზონიდან როგორც ითამაშებს. რონალდო მსოფლიოში ახლაც პირველი ფორვარდია.

— „მილანი“ ხმაურიან ტრანსფერებს ამზადებსო, გალიანიმ და ბრაიდამ ამაზე უკვე დაიწყეს მუშაობა...

— გაზეთებში წავიკითხე, რომ ანჩელოტის ძალიან მოსწონს ემერსონი. მწვრთნელს მეც შევაწევ სიტყვას: „ემო“ მართლაც დიდი ფეხბურთელია. მასთან ერთად ნაკრებში არაერთხელ მითამაშია და მისი იუვენტუსური სეზონებიც კარგად მახსოვს. იგი მსოფლიოში საუკეთესო საყრდენი ნახევარმცველი თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო ნაღდადაა.

— ბუფონსა და ძამბროტასაც „მილანს“ უკავშირებენ...

— აბა, რა გითხრათ, ამ შემთხვევაში ჩვენი გამჩერებელი ნაღდად არავინ იქნება. ვნახოთ, ვნახოთ...

— თქვით, მომავალ წელს სკუდეტოსთვის „მილანი“ და „ინტერი“ იბრძოლებენო. „იუვენტუსი“ რატომ ჩამოწერეთ?

— არ ჩამომიწერია, უბრალოდ, ის ვიგულისხმე, რომ თუ ბუფონი, ნედვედი და დელ პიერო გუნდიდან წავიდნენ, ძალიან გაუჭირდებათ. მაგრამ, ახლა მათ კლაუდიო რანიერი დაუნიშნეს მწვრთნელად და უფრო გაძლიერდებიან. კარგით, რადგან ასე გსურთ, ვიტყვი: ახალი სეზონიდან სკუდეტოსთვის „მილანი“, „ინტერი“ და „იუვენტუსი“ იბრძოლებენ, ჩემპიონები კი ჩვენ გავხდებით!

— თქვენს მეუღლე კაროლინს ფეხბურთი აინტერესებს?

— სხვა რა გზა აქვს? „სან პაულუში“ რომ ვიყავი, ჯერ მას ქომაგობდა, ახლა კი „მილანის“ თავგადაკლული ტიფოზია.

— „მილანში“ ბრაზილიური დიასპორა რომ არის, ყველამ იცის...

— მე, დიდა, კაფუ, რონალდო, სერჟინიო, ოლივეირა... ცოტაა? ამას ახლა ჩვენი ოჯახის წევრებიც მიამატეთ და თავადაც მიხვდებით, თავს როგორაც ვიგრძნობთ.

— მოვლენა, რომელმაც სიხარულისგან ყველაფერი დაგავიწყათ...

— ჩემი პირველი შვილი, რომელიც კაროლინმა მაჩუქა. 2007 წელი ჩემთვის ძალიან, ძალიან ბედნიერია: ბავშვი შემეძინა, ჩემპიონთა ლიგა მოვიგე. ვნახოთ, 2008-ში რა მოხდება.

— ფრანჩესკო ტოტის კი უკვე მეორე შვილი ჰყავს...

— ჰოდა, ძალიანაც კარგი. იმედია, მალე მეც დავეწევი. ტოტის კარგად ვიცნობ, „რომას“ კაპიტანი და სიმბოლო დიდი ფეხბურთელი და პიროვნებაა. იტალიამ რომ მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, „ჩესკომ“ უდიდესი წვლილი შეიტანა. ჩემს მეგობარს მუდამ წარმატებებს ვუსურვებ.

— ოცნება, რომელსაც ფეხბურთთან კავშირი არ აქვს...

— მას ოცნება არც ჰქვია, რეალურად გავაკეთებ: მინდა, საქველმოქმედო ფონდი დავაარსო, სადაც გაჭირვებულ ხალხს და ღატაკ ბავშვებს არაფერი მოაკლდებათ. ძალიან სერიოზულად ვფიქრობ ამაზე და ფონდიც მალე დაარსდება.

— ოცნება, რომელსაც ფეხბურთთან აქვს კავშირი?

— მოედნის ცენტრიდან მსურს გოლის გატანა. რა, ვითომ, ვაჭარბებ?!

## პეტროვის ტკივილი

**ბულგარეთის** ნაკრების ნახევარმცველი მარტინ პეტროვი ტრავმის გამო ბელარუსთან მატჩს გამოტოვებს.

მადრიდის „ატლეტიკოს“ ლეგიონერს ოქტომბერში მუხლებზე ოპერაცია გაუკეთეს და აპრილში დაბრუნდა, მაგრამ შაბათს ბელარუსთან გასვლით შეხვედრაში ფეხი ისევ ასტკივდა და ექიმმა დასვენება ურჩია.

## ნეკნების გამო

**ბელგიის** ნაკრების ნახევარმცველები — გაბი მუდინგაი და კარელ გერარტსი — ფინეთთან შეხვედრაში ვერ ითამაშებენ.

ლაციოელ მუდინგაის შაბათს, პორტუგალიასთან მატჩში კუნთი დაეჭიმა, ხოლო „სტანდარდის“ გამთამაშებელ გერარტსს კი, რომელიც ხსენებულ მატჩში შეცვლაზე შევიდა, ნეკნები სტკივა.

## მარინომ ყველაფერი მიაგდო

**„უდინეზემ“** გუშინ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ალბერტო მალეზანის ნაცვლად მწვრთნელად პასკუალე მარინო დანიშნა.

„ჩემთვის გუნდის თავკაცობა ძალიან დიდი პატივია — თქვა მარინომ — დარწმუნებული ვარ, ფეხბურთი, რომელსაც „უდინეზე“ თამაშობს, ერთ-ერთი საუკეთესოა იტალიაში. ბედმა გამიღიმა, ასეთ კლუბში რომ მოვხვდი. როცა სამუშაო შემომთავაზეს, ყველაფერი მივაგდე და ერთი სული მქონდა, როდის გავხდებოდი „უდინეზეს“ მწვრთნელი“.

## ორნი ოთხი წლით

**სტივენ** ჯერარდმა და ჯეიმი კარაგერმა „ლივერპულთან“ კონტრაქტი ოთხი წლით გააახანგრძლივეს.

„ძალიან მიხარია — განაცხადა კარაგერმა — ორივე აქაურები ვართ და არაერთხელ მითქვამს, რომ კარიერის ბოლომდე აქ დარჩენას ვაპირებ“.

„ძალიან მალე მოვრიგდით ახალი კონტრაქტის პირობებზე და ბედნიერი ვარ, რომ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ისევ „ლივერპულის“ მაისურით ვითამაშებ“ — აღნიშნა კაპიტანმა ჯერარდმა.

## მანდორლინი სიენასთვის

**„სიენას“** მწვრთნელად ალბათ ანდრეა მანდორლინის დანიშნავენ.

„ატალანტას“ ყოფილი თავკაცი ბოლოს სერია C-ს „პადოვაში“ მუშაობდა, საიდანაც წინა კვირას წავიდა და იტალიური მედიის ცნობით, სწორედ „სიენასგან“ მიღებული შეთავაზების გამო.

**გაგა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა





AFP

# ტურინული რანი-ერა

## ახლა მთავარია წასვლა-მოსვლა

**55 წლის** კლაუდიო რანიერიმ „იუვენტუსის“ მწვრთნელის პოსტზე დიდიე დეშანი შეცვალა. მხარეებს მოსალაპარაკებლად სულ რამდენიმე დღე დასჭირდათ და კონტრაქტი 2010 წლის ზაფხულამდე გააფორმეს. შეთანხმების ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა. კულუარული ინფორმაციით კი, რანიერი სეზონში დაახლოებით 860 ათას ევროს მიიღებს.

„კლუბმა კარგი არჩევანი გააკეთა და ყველანი კმაყოფილნი ვართ. კლაუდიო რანიერის აქვს „იუვენტუსის“ დარი დიდი ისტორიის, ტრადიციებისა და ამბიციების მქონე გუნდის გაწვრთნისთვის საჭირო ქარიზმა, ნიჭი და გამოცდილება. იგი ჩინებული სპეციალისტი და ადამიანია“ — ნათქვამია „ბიანკონერის“ ოფიციალურ განცხადებაში.

ტურინელთა გენერალური დირექტორი ჟან-კლოდ ბლანი: „რანიერი „იუვენტუსს“ ნამდვილად შეეფერება. ჩვენ ხანგრძლივი პროექტი გვაქვს და გუნდში არსებული სტაბილურობა წარმატების ერთადერთი საწინდარი უნდა იყოს. სწორედ ამიტომ გავაფორმეთ კლაუდიოსთან სამწლიანი კონტრაქტი.“

წარსულში ფეხბურთელმა, კერძოდ კი, მცველმა რანიერიმ სამწვრთნელო კარიერა 1987 წელს დაიწყო. 1988-91 წლებში მან „კალიარი“ სერია C1-დან სერია A-ში აიყვანა და „ნაპოლიში“ გადაბარგდა. ნეაპოლელებთან ერთად იგი მეოთხე ადგილზე გავიდა.

„ნაპოლის“ „ფიორენტინა“ მოჰყვა. „იებთან“ ერთად რანიერიმ მოიგო იტალიის თასი და სუპერთასი. მერე იყო „პარმა“, 1997-99 წლებში კი „ვალენსიას“ თავკაცობდა და „ღამურებს“ ესპანეთის თასი მოაპოვებინა. 2000-2004 წლებში კი „ჩელსის“ ედგა სათავეში და ლონდონური კლუბი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გაიყვანა, რის მერეც რომან აბრამოვიჩმა გააგდო და „ჩელსი“ ჟოზე მაურინიუს ჩააბარა.

„ჩელსიდან“ წამოსული რანიერი „ვალენსიაში“ დაბრუნდა, მაგრამ იქ მხოლოდ 6 თვე გაატარა — „ღამურების“ უეფას თასიდან გავარდნის შემდეგ დაითხოვეს. ამას მის სამწვრთნელო კარიერაში ორწლიანი პაუზა მოჰყვა. იგი SKY ITALIA-ზე კომენტატორად მუშაობდა, სანამ ამ ზამთარს „პარმაში“ არ უხმობდნენ. რანიერიმ ურთულეს მდგომარეობაში მყოფი გუნდი სერია A-დან გავარდნას გადაარჩინა.

ამ ბოლოს კი თითქოს მისი „მანჩესტერ სიტიში“ გადასვლა გადაწყდა, მაგრამ...

„როცა „იუვენტუსი“ გიკავშირდება, საფიქრალი არაფერია. „მანჩესტერ სიტის“ ვარიანტიც მქონდა, მაგრამ კონკრეტული არ იყო. გუნდში ახალი მეპატრონეები ჯერ არც მისულან. დრო კი გადიოდა... მოულოდნელად „იუვე“ დამიკავშირდა და შეთანხმებასაც მალე მივაღწიეთ. ასეთ კლუბს, უბრალოდ, უარს ვერ ეტყვი და, ცხადია, არც მითქვამს. ჩემთვის ეს დიდი გამოწვევა და სტიმულია. მადლობას ვუხდი კლუბს და ხელმძღვანელობას იმისთვის, რომ მე ამირჩიეს და ამით ამაყი ვარ. ჩვენ ამბიციური პროექტი გვაქვს. ახლა მაგრად უნდა ვიმუშაოთ, რათა „ბებერი ქალბატონი“, რაც შეიძლება, მალე დავაბრუნოთ იმ სიმაღლეზე, რომელსაც იმსახურებს“ — განაცხადა რანიერიმ.

ახლა „იუვენტუსის“ ქომაგებს სწორედ ის აინტერესებთ, როდის დაბრუნდება გუნდი რანიერის მიერ ხსენებულ სიმაღლეზე. კლუბის ხელმძღვანელობას ამისთვის ხუთწლიანი პროექტი აქვს, მაგრამ ფანებს ეს ძალიან დიდ დროდ ეჩვენებათ.

„კლუბის ხელმძღვანელობამ მითხრა, რომ მათი სურვილი „იუვეს“ ხუთ წელიწადში მწვერვალზე დაბრუნებაა — ამბობს რანიერი — ჩვენ კი ყველანაირად უნდა ვეცადოთ, ეს უფრო ადრე მოხდეს. ჩვენ ძლიერი, ამბიციური გუნდი გვეყოლება — ახალგაზრდა, დიდი პოტენციალის მქონე მოთამაშეებისა და გამოცდილი ვარსკვლავების სინთეზით. მესმის, რომ ფანებმა სერია B-ში რთული პერიოდი გაიარეს და უნდათ, მათი საყვარელი გუნდი უმაღლ ძველ სიმაღლეებზე იხილონ, მაგრამ მოთმინება აუცილებელია. წინ კიდევ ბევრი მძიმე პერიოდი გველის, რომლებსაც ერთად უნდა გავუმკლავდეთ და მალე ყველა ისევ ვიამაყებთ წარმატებული „იუვენტუსით“. რაც შეეხება ჩვენს სატრანსფერო გეგმებს, რასაკვირველია, პრესასთან არავის დავასახელებთ, ვისი შეძენაც გვინდა.“

ამბობენ, რანიერის „იუვეში“ მისვლა „ბებერ ქალბატონში“ ფრენკ ლამპარდისა და მოჰამედ სისოკოს გადასვლის შანსებს გაზრდისო. მას ორივესთან კარგი ურთიერთობა აქვს, პირველთან „ჩელსიში“ უმუშავია, მეორესთან კი — „ვალენსიაში“...

ახალი ფეხბურთელების დამატების გარდა, რანიერის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ახლანდელი ვარსკვლავების შენარჩუნებაც იქნება. მაგალითად, ჯანლუიჯი ბუფონი პირველი იყო, ვინც საჯაროდ გამოეხმაურა რანიერის დანიშვნას და აღნიშნა, კლუბმა მშვენიერი არჩევანი გააკეთაო, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი დარჩენა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია.

„ბუფონი იტალიის ნაკრების სახეა და „იუვენტუსს“ გაუმართლა, რომ იგი ჰყავს. ჯანლუიჯიმ თქვა, ახლა ჩემი დარჩენის შანსი 75 პროცენტიაო. იმედია, სულ მალე 100 იქნება. მისი, ალექს დელ პიეროს, პაველ ნედვედისა და მაურო კამორანეზის დარი ვარსკვლავები ძალიან გვჭირდება. მათგან ახალგაზრდები ბევრს სწავლობენ“ — დასძინა „იუვენტუსის“ ახლადგამომცხვარმა მწვრთნელმა.

განგებ თუ შემთხვევით, უცნობია, მაგრამ ფაქტია, რანიერის საჭირო ფეხბურთელებში არ უხსენებია დავიდ ტრეზეგე. ფრანგისთვის გასული სეზონი არცთუ წარმატებული იყო და, შესაძლოა, „იუვედან“ წავიდეს. მით უმეტეს, რომ ტურინელებს მრავალ თავდამსხმელს უკავშირებენ — კლაას-იან ჰუნტელაარს, ვინჩენცო იაკინტას, ალბერტო ჯილარდინოს, როლანდო ბიანკის...

ჟან-კლოდ ბლანი: „ტრეზეგეს ამ კვირაში შევხვდებით და დაველაპარაკებით. ამის გაკეთება იქამდე არ გვინდოდა, სანამ ახალი მწვრთნელი არ გვეყოლებოდა და მასთან ერთად სამომავლო გეგმებზე არ ვისაუბრებდით. ახლა რანიერი აქაა და იმედია, დავიდის საკითხს მალე მოვაგვარებთ.“

**გიორგი ძაძამიძე**

# ჩემი ასაკი რუ შეგაშინებთ

**ფრანგული** ფეხბურთის ვეტერანი მწვრთნელი გი რუ გუშინ, ორი წლით „ლანსს“ ჩაუდგა სათავეში. სხვათა შორის, სწორედ ორი წელიწადია, რაც გი რუ სამწვრთნელო საქმეს არ გაკარებია — მას მერე, რაც „ოსერის“ 45-წლიანი ერთგულებისა და მთავარ მწვრთნელად 24-წლიანი უწყვეტ-უცვლელი გარჯის შემდეგ თანამდებობიდან გადადგა, იგი ისვენებდა.



AFP

„იქნებ გაგიკვირდეთ, მაგრამ გულწრფელად მოგახსენებთ, რომ თავს ჩინებულად ვგრძნობ, ასე რომ, ჩემი ასაკის ნურავის შეეშინდება, ასაკი ხელს არაფერში შემიშლის“ — განუცხადა საგანგებო პრესკონფერენციაზე შეკრებილ ჟურნალისტებს 68 წლის სპეციალისტმა.

„ლანსის“ მწვრთნელის თანამდებობაზე რუმ ფრანსუა გილიოტი შეცვალა. გადამდგარ გილიოტს თანამდებობა იმიტომ დაატოვებინეს, რომ მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილი ვერ მოიპოვა — მეხუთე ადგილზე გავიდა.

გი რუს ხელმძღვანელობით „ოსერი“ 1996 წელს საფრანგეთის ჩემპიონი გახდა, ოთხჯერ ქვეყნის თასი აღმართა და თოთხმეტჯერ შეუტია ამა თუ იმ ევროპულ ჯილდოს.

საინტერესოა, რომ ტექნიკურად, ანუ ფორმალურად, გი რუ „ლანსის“ მწვრთნელი ვერ გახდება, რადგან ის 65 წელზე ხანდაზმულია, ამ ასაკის ადამიანთა მწვრთნელად მუშაობა კი საფრანგეთში კანონით არის აკრძალული, მაგრამ ასეთ დროს, მოგეხსენებათ, თანამდებობებს იგონებენ, საქმე კი საქმედ რჩება.

ბოლო ორი წლის განმავლობაში გი რუ ტელეკომენტატორად მუშაობდა.

**პაპუნა ძედია**

# წეწვა-გლეჯვა დანი ალვეშზე

**ესპანური** პრიმერადივიზიონის დასრულებამდე ორი ტური დარჩა, ხოლო დიდევროპული კლუბები „სევილიას“ დანიელ ალვეშზე უკვე ნადირობენ.

„ასის“ ცნობით, ალვეშის აგენტმა ხოსე როდრიგეს ბასტერმა ორი საინტერესო შეთავაზება მიიღო — „ჩელსი“ ბრაზილიელ მცველში 24 მილიონი ევროს გადახდას აპირებს, „მილანი“ კი — 20 მილიონის.

როცა ლა ლიგა დასრულდება, როდრიგეს ბასტერი ლონდონელთა და მილანელთა წინადადებებს „სევილიას“ თავკაცობას გააცნობს. „ჩელსიმ“ ესპანეთში თავისი დამკვირვებელი ხუან კრუბ სოლიც გაგზავნა, რომელიც „სევილია“ — „სარაგოსას“ მატჩს დაესწრო...

მადრიდის „რეალს“ კი ალვეშის შეძენაზე ოფიციალურად ჯერ არაფერი უთქვამს, თუმცა იქაური მედია გვატყობინებს, რომ კასტილიელებს „სევილიას“ მიერ დასახელებული ფასი არ მოსწონთ და ეცდებიან, ბრაზილიელი „ბერნაბეუზე“ შედარებით იაფად გადაიყვანონ. ასევე ლაპარაკია სატრანსფერო ოპერაციაში მავანი მადრიდელი ფეხბურთელის ჩართვაზეც...

სამეფო გუნდში „ჩელსისა“ და „მილანის“ ინტერესების თაობაზე ყველაფერი იციან, ამიტომაც „რეალის“ სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა ხოსე როდრიგეს ბასტერს სთხოვა, გადაწყვეტილების მიღება არ იჩქაროს. მიატოვიჩი სამეფო თეთრების პრეზიდენტ რამონ კალდერონის ალვეშის ყიდვას სთხოვს და თანხმობის შემთხვევაში, სატრანსფერო რბოლაში მთელი ძალით ჩაერთვება.

„რეალს“ „მილანსა“ და „ჩელსიზე“ უპირატესობა აქვს — დანი ალვეშს სწორედ „ბერნაბეუზე“ უნდა კარიერის გაგრძელება.

**ლადო ხომერიკი**

# ქალები მოდიან, ქალები!

**ბასკური** ფეხბურთის ფლაგმანებს ქალები დაეპატრონენ. თუ აქამდე „ბილბაოს“ პრეზიდენტი სენიორა ანა ურკიხო იყო, ამიერიდან „სოსიედადს“ მარია დე ლა პენია ბურაონდო უხელმძღვანელობს. სან სებასტიანის გუნდმა გუშინ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მიგელ ფუენტესის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, „სოსიედადის“ პრეზიდენტი ქალბატონი დე ლა პენია ბურაონდო იქნება, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად ლუის ანსოალდე ორდიოზოლა დასახელდა.

ადმინისტრაციული საბჭოს შეკრებაზე „სოსიედადის“ წარმომადგენლებმა ექსპერიმენტ მიგელ ფუენტესს ღირსეული და ნაყოფიერი შრომისთვის მადლობა გადაუხადეს და ახალ მმართველთა ვინაობა დაასახელეს. გარდა ამისა, კლუბმა აქციონერებსა და გულშემატკივრებს სიმშვიდისკენ მოუწოდა.

„გუნდის თავკაცობა ყველაფერს გააკეთებს „სოსიედადის“ ნორმალური წინსვლა-განვითარებისთვის“ — ნათქვამია ბასკთა კომუნიკეში.

ამჟამად „სოსიედადი“ კრიზისს განიცდის და ლა ლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერია — მარია დე ლა პენიას კლუბი პრიმერას ცხრილში მეთვრამეტეა და სეგუნდაში გავარდნის ერთ-ერთი კანდიდატი გახლავთ. ბასკები 9 ივნისს „რასინგთან“ მნიშვნელოვან მატჩს გამართავენ, რომლის შედეგზეც „სოსიედადის“ ლიგაში დარჩენაა დამოკიდებული.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# არავითარი ციკლები არ არსებობს

## ვიქტორ ვალდესს გოლის გაშვება კი არა, გატანა უნდა

**უკვე რამდენიმე წელია, ვიქტორ ვალდესი „ბარსელონას" ძირითადი მეკარეა. იგი გუნდში მაშინაც იყო, როცა „ბარსა" ვერაფერს იგებდა, შემდეგ კი ერთად ზედიზედ ორი ესპანური პრიმერა და 2005-06-ის სეზონის ჩემპიონთა ლიგა მოიგო. საამსეზონო ლა ლიგაში კი ვალდესის გუნდს ოქროს მედლების ხელში ჩასაგდებად „ესპანიოლისა" და „ხიმნასტიკის" დამარცხება მოუწევს, თან კატალონიელთა ტრიუმფისთვის ჩემპიონობის სხვა კანდიდატების, „რეალისა" და „სევილიას" ნაფორხილებაა საჭირო. მოკლედ, „ბარსასთვის" სიტუაცია ფრიად რთულია...**



**— რას გრძნობთ მატჩებისას ახლა და რას გრძნობდით ადრე?**

— თავიდან, პირველი ორი სეზონის განმავლობაში, მინდოდა, დროის მცირე შუალედში უამრავი რამ დამემტკიცებინა. ვფიქრობდი, რომ „ბარსას" მეკარეობისთვის უკვე 10 წლის ასაკიდან მზად ვიყავი, თუმცა როცა საამისო დრო მოვიდა, პრაქტიკულად არანაირი გამოცდილება არ აღმომაჩნდა. წლების გასვლასთან ერთად ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა, სწორად აზროვნება და საქმისადმი დამოკიდებულება ვისწავლე და, მადლობა ღმერთს, ცრურწმენებისა უკვე აღარ მჯერა.

**— არადა, ადრე ძალიან გჯეროდათ...**

— დიახ. ახლა კი ამისგან უკვე თავისუფალი ვარ. მეცინება, როცა ვიხსენებ, რა რიტუალებს ვაკეთებდი, სანამ მოედანზე გავიდოდი... ხანი რომ გავიდა, მივხვდი, ამ ცრურწმენებს ჩემთვის არავითარი სარგებელი არ მოჰქონდათ. დღეს გაცილებით მშვიდად გავდივარ მოედანზე, ვიდრე თუნდაც ორი წლის წინ.

**— პენალტების აკიდებიდან მოგერიებამდე რა გზა განვლეთ?**

— პენალტების მოგერიება ბედსა და ინტუიციაზეა დამოკიდებული.

**— მეტოქეთა დარტყმის სტილს სწავლობთ?**

— უმაღლესი დონის მოთამაშეს შეუძლია, ყველა კუთხეში უნაკლოდ დაარტყას, მაგრამ ვიცი, რომ ნებისმიერ ფეხბურთელს პენალტის შესრულების საკუთარი სტილი აქვს და ამას ყურადღებას ვაქცევ.

**— ადრე „სპორტთან" ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ გოლის გატანაზე ოცნებობთ. გშურთ ანდრეს პალოპის? „სევილიას" გოლკიპერმა უეფას თასზე თავი ხომ მარტო კარში კარგი თამაშით კი არა, საგოლე ალღოთითაც გამოიჩინა...**

— არა, არ მშურს. მომწონს პალოპის აქტიურობა, მაგრამ შური არ მაწუხებს. რაც დრო გადის, კლასიკური სტილის მეკარეობა უფრო მომწონს.

**— „ბარსელონასთვის" მძიმე წლებზე მინდა, გკითხოთ. კარლეს პუიოლმა „კამპ ნოუზე" 5 წელიწადი უტიტულოდ გაატარა. თქვენ მაშინ ძირითადში არ იყავით, თუმცა საინტერესოა, „გვალვიან წლებზე" რას იტყოდით...**

— იმ პერიოდში „ბარსელონამ" ბევრი მეკარე გამოიცვალა. სამწუხაროდ, მათ ჩვენს გუნდში არ გაუმართლათ.

**— პრიმერადივიზიონის ბოლოსწინა ტურში მადრიდის „რეალი" „სარაგოსას" ესტუმრება, „ბარსა" კი „ესპანიოლს" მასპინძლობს. ხომ არ ფიქრობთ, რომ სამეფო თეთრებზე უკეთეს სიტუაციაში ხართ?**

— ეს არავინ იცის. ალბათ, უკეთესი სიტუაცია გვაქვს. შინ თამაში ყოველთვის კარგია, მაგრამ მერე ტარაგონაში გვიწევს ჩასვლა. ჩემპიონატის ამ ეტაპზე შინ თუ სტუმრად თამაში ერთი და იგივეა. ყოველ შემთხვევაში, ვეცდებით, ექვსი ქულა მოვიპოვოთ.

**— 25 წელია, „ესპანიოლს" „კამპ ნოუზე" არ მოუგია ...**

— „რეალსაც" ოცი წლის განმავლობაში სულ ვამარცხებდით ჩვენს სტადიონზე, მაგრამ... ადრე თუ გვიან, სიტუაცია იცვლება ხოლმე. ეს სეზონიც ძალიან რთული და უცნაური გამოდგა. დარწმუნებული ვარ, ამ ექვს ქულას ავიღებთ, მაგრამ ეს ადვილად არ მოხდება.

**— როგორ შეაფასებდით 2006-07 წლების სეზონს მაშინ, როცა პრიმერადივიზიონის გამარჯვებულის ვინაობა ჯერ კიდევ არ იცით?**

— გეტყვით, რომ არასტაბილური შედეგები გვქონდა და ძალიან ბევრი ილაყბეს იმის თაობაზე, რაც კულისებს მიღმა ხდება და რაც, წესით, საჯაროდ არ უნდა განეხილათ.

**— რა ხდება „ბარსელონას" გასახდელში?**

— არაფერი ნეგატიური იქ არ ხდება. ჩვეულებრივი მეგობრული კამათიდან მოლაყბეებმა ნამდვილი ტრაგედია შეთითხნეს და არარსებულ დაპირისპირებაზე მთელი ქვეყანა აალაპარაკეს... ჩვენზე, ფეხბურთელებზე, ამას არანაირი ზეგავლენა არ მოუხდენია, მაგრამ ხალხმა ხომ უკვე წაიკითხა და მოისმინა ეს ყველაფერი... ინჩასებს გული ატკინეს, „ბარსა" მოსისხლე ბანაკებადაა დაყოფილი და ერთმანეთს მოსაკლავად იმეტებენო...

**— ესე იგი, თქვენ თვლიდით და დღესაც ფიქრობთ, რომ კლუბის შიგნით არაფერი საგანგაშო არ ხდება?**

— მე ისე ვფიქრობ, როგორც წინა სეზონში — ჯილდოების მოსაგებად ერთად უნდა ვყოფილიყავით. თუმცა საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ის ტიტულები დავკარგეთ, რომელთა ხელიდან გაშვებაც ნაკლებად იყო მოსალოდნელი. მაგალითად, ევროპის სუპერთასი და საკლუბო მუნდიალის ჩემპიონობა.

**— „ბარსელონაში" დაძაბულობა ცუდმა შედეგებმა გამოიწვია?**

— ცხადია, როცა ქულებს საკმარისად ვერ აგროვებ, უმალ ნეგატიურ რამეებზე ალაპარაკდებიან ხოლმე. ეს ასეა „ბარსელონაში" და ყველა გრანდ კლუბშიც. თუმცა, მიუხედავად ჩემი უკმაყოფილებისა, განგაშს არანორმალურ მოვლენად არ მივიჩნევ — როდესაც გუნდი ვერ იგებს, პრესას და გულშემატკივრებს მშვიდად ყოფნას ვერ მოსთხოვ.

**— სეზონის ბალანსი თქვენ მიერ პრიმერას მოგებაზეა დამოკიდებული თუ არა?**

— თუ ლა ლიგა მოვიგეთ, სეზონს წერტილს ლაზათიანად დავუსვამთ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ბარსელონას" არასტაბილურობა დავივიწყოთ.

**— საერთო შეხედულებით, თქვენი გუნდის თამაში უწინდელივით ეფექტური არ არის...**

— გეტყვით, რომ უწინდებურად პრესინგს აღარ მივმართავთ და მეტოქეს საგოლე სიტუაციები მრავლად ექმნება.

**— ინდივიდუალურ დონეზე ამ სეზონს როგორ შეაფასებდით?**

— იცით, მიუხედავად იმისა, რომ შარშან გუნდმა დიდი ჯილდოები მოიგო, პირადად ჩემთვის ის სეზონი უარყოფითი გახლდათ... ფსიქოლოგიური პრობლემები მქონდა, რომელთა დაძლევაში მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი ძალიან დამეხმარა. აი, ამ სეზონში თავს უფრო მშვიდად ვგრძნობ, თუმცა გუნდით კმაყოფილი არ ვარ, რამდენიმე ტიტული წავაგეთ. როცა ცუდი, ან ძალიან ცუდი პერიოდი მაქვს, გამოსავალს მარტო ოპტიმიზმსა და მოამაგისადმი რწმენაში ვხედავ. რაიკარდი მხარში დამიდგა და „ბარსას" ირგვლივ შექმნილ სკანდალურ ფონს გავუძელი.

**— გულშემატკივრები თქვენით უკმაყოფილონი აღარ არიან...**

— ერთი რამ ვიცი — „ბარსელონას" მეკარეს თამაშით ბოლომდე კმაყოფილი არავინ იქნება და მასზე კამათიც არასდროს ჩაწყნარდება. ეს ორი მიზეზის გამო ხდება: ჯერ ერთი, ეს ინდივიდუალური, სპეციფიკური საქმეა, შენ ხომ კარის უსაფრთხოება მარტოს გავალია, თანაც, მეკარის გამათრახება უკვე ტრადიციაა... ყოველთვის მზად უნდა იყო კრიტიკისთვის.

**— არ გჯერათ, რომ ნდობა მოიპოვეთ?**

— გულშემატკივართა ნდობის ფაქტორი ორი ან სამი კვირის მანძილზე მოქმედებს. როგორც კი შეცდები, ხალხი შენს იმედს კარგავს და კრიტიკის ქარცეცხლიც იწყება. რა გაეწყობა, ამასაც ნორმალურ მოვლენად ვთვლი და ვეგუები. ძალიან კარგად ვიცი ეს ყველაფერი, რადგანაც საკუთარ თავზე გამოვცადე რამდენჯერმე. კრიტიკა ვის უყვარს, მაგრამ, როცა ამბობენ, ვალდესი დასუსტდაო, ორმაგი მონდომებით ვცდილობ, საქმე გამოვასწორო.

**— წლეულს ლა ლიგას რომელი გუნდი მოიგებს?**

— თუ ჩვენ მოვიგეთ, ისეთივე სიხარული იქნება, რაც მაშინ იყო, ტენერიფეში რომ გამოვცადე.

**— იმ დროს ტენერიფეში ცხოვრობდით? „ბარსამ" თავისი მატჩი მოიგო, „რეალი" კი „ტენერიფესთან" დამარცხდა და...**

— და ჩემპიონობა „ბარსელონას" ერგო. მაშინ ოჯახთან ერთად ტენერიფეში ვცხოვრობდი, ხალხმა კატალონიელთა გამარჯვება დიდი ამბით იზეიმა.

**— „ბარსელონას" ძველი ფეხბურთელებიდან განსაკუთრებული შთაბეჭდილება თქვენზე ვინ მოახდინა?**

— რომარიო დიდებული იყო. ასევე მომწონდა ლაუდრუპიც. მაგარი იყო ხრისტო სტოიჩკოვიც — თავისი ქარიზმით, ოსტატობით... ბედნიერება მხვდა წილად, შემდგომში სტოიჩკოვი პირადად გავიცანი. მეკარეებს კი ბავშვობაში დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი. ერთადერთი სუბისარეტა მომწონდა. მერე, წლები რომ გავიდა, „სუბი" უფრო დავაფასე. ის ლეგენდაა და ესპანეთში ნებისმიერ გოლკიპერს გაუჭირდება კარიერაში იმის მიღწევა, რაც ანდონიმ შეძლო.

**— წლეულს პრიმერადივიზიონში ყველაზე ნაკლები გოლი გაგიტანეს. „ზამორას" ტიტულის მოგება გინდათ?**

— დიახ. როცა „ზამორა" პირველად მოვიგე, ის გუნდის შრომის აღიარებად ჩავთვალე, შრომისა, რომელიც ხშირად შეუმჩნეველი რჩება. მინდა, მცველთა გარჯაც დაფასდეს.

**— როგორც მეკარემ, „ევოლუცია" განიცადეთ?**

— ნელ-ნელა ვსწავლობ ყველაფერს. ვამჩნევ, რომ საჭირო გამოცდილება უკვე შევიძინე და დღითიდღე უკეთ ვმუშაობ.

**— „ბარსელონას" უცვლელი მეკარე ხართ, თუმცა საერთაშორისო აღიარება გაკლიათ...**

**— რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ ესპანეთის ნაკრების კარს სხვა იცავს და საერთაშორისო დონეზე ინდივიდუალური ჯილდოებიც გაკლიათ...

— ჯილდოები? მე ჩემპიონთა თასი, კოპა დელ რეი და ლა ლიგას ოქროს მედლები მინდა, სხვა ტიტულები ნაკლებად მაინტერესებს. ანუ იმის თქმა მსურს, რომ ინდივიდუალურ ჯილდოებს გუნდურს ვამჯობინებ. რასაკვირველია, ნაკრებში თამაში ძალიან მინდა, მაგრამ ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული.

**— რას ფიქრობთ, როცა „ბარსას" მომგებიანი ციკლის დასრულებაზე საუბრობენ?**

— ჯერ ერთი, ციკლების და ეტაპების არ მჯერა. მეორეც — გუნდში ამდენი ახალგაზრდა ვართ და მეუბნებით, რომ ციკლი დასრულდა. ეს შეუსაბამობაა...

**— და ამბიციებისა და ჯილდოების წყურვილის უქონლობაზე როცა ლაპარაკობენ?**

— ეგ ვინ გითხრათ? ჯილდოთა წყურვილი გვახრჩობს... ამბობენ, თითქოს ტიტულის მოგების შემდეგ დუნდები, ბრძოლა აღარ გინდა და მარტო დასვენებაზე ფიქრობ. ეს ტყუილია, თუ იგებ, კიდევ გინდა, ეს გრძნობა გამოსცადო...

**— გჯერათ, რომ „ბარსას" დღევანდელი შემადგენლობა გამარჯვებებს მომავალ სეზონშიც მოიპოვებს?**

— უეჭველად. ჩვენ დიდი გუნდი გვყავს, რომელიც წლების განმავლობაში ელიტაში დარჩება, რადგან საქმეს კარგად ვაკეთებთ და ჩვენთვის რთულ სეზონშიც საჭირო რამეები ვისწავლეთ. ახლა ფიქრისთვის უფრო მეტი დრო გვრჩება. გავაანალიზებთ, რა გვჭირდება და სამომავლოდ ისევ ძლიერად ვიბურთავებთ. 2006-07 წლებში ფსიქოლოგიურადაც გავძლიერდით და საფეხბურთო თვალსაზრისითაც... არავითარი ციკლი და ეტაპი არ დასრულებულა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 22 | სიუდადი-ლას პალმასი | 1.70 | 3.10 | 5.00 | 1.09 | 1.26 | 1.91 |
| 19:30 | 25 | ვეცინდარიო-მურსია | 2.80 | 3.10 | 2.35 | 1.47 | 1.27 | 1.33 |
| 20:00 | 27 | რეალი(ბ)-ალმერია | 1.95 | 3.40 | 3.30 | 1.23 | 1.22 | 1.67 |
| 20:30 | 29 | ელჩე-კასტელონი | 2.30 | 3.00 | 2.90 | 1.30 | 1.28 | 1.47 |
| 20:00 | 30 | ლორკა-ალავესი | 3.70 | 3.30 | 1.80 | 1.74 | 1.21 | 1.16 |
| 20:00 | 31 | მალაგა -კადისი | 2.20 | 3.00 | 3.15 | 1.26 | 1.29 | 1.53 |
| 20:30 | 32 | ეხიდო-სპორტინგი | 2.10 | 3.00 | 3.35 | 1.23 | 1.29 | 1.58 |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 23 | პონფერადინა-პერკულესი | 2.10 | 3.10 | 3.25 | 1.25 | 1.27 | 1.58 |
| 21:00 | 24 | ტენერიფე-სალამანკა | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 21:00 | 26 | სერესი-ნუმანსია | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 21:30 | 28 | ვალიადოლიდი-ალბასეტე | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| | | ბელგია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 22:30 | 33 | ლიერსი-მეხელენი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 22:30 | 34 | კორტრაიკი-ანტვერპენი | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 234 | ბოდიო გლიმტი-მოლდე | 2.00 | 3.40 | 3.40 | 1.25 | 1.25 | 1.70 |
| 21:00 | 235 | პიონეფოსი-მოსი | 2.20 | 3.40 | 2.90 | 1.33 | 1.25 | 1.56 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 66 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 1.70 | 3.50 | 4.65 | 1.14 | 1.24 | 1.99 |
| | | სამხრეთ ამერიკის სუპერ თასი | | | | | | |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 225 | ინტერნასიონალი(ბრა)-პაჩუკა(მექ) | 1.65 | 3.40 | 4.60 | 1.11 | 1.21 | 1.95 |
| | | ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 6 ივნისი | | | | | | |
| 22:30 | 127 | საბერძნეთი-მოლდოვა | 1.16 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.07 | 4.53 |
| 22:30 | 129 | ხორვატია-რუსეთი | 1.95 | 3.10 | 3.90 | 1.19 | 1.30 | 1.72 |
| 17:00 | 130 | ყაზახეთი-აზერბაიჯანი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 20:00 | 131 | ანდორა-ისრაელი | 30.00 | 10.00 | 1.05 | 7.50 | 1.01 | 1.00 |
| 20:15 | 133 | ფარერები-შოტლანდია | 22.00 | 6.70 | 1.12 | 5.13 | 1.06 | 1.00 |
| 21:00 | 135 | ნორვეგია-უნგრეთი | 1.42 | 3.90 | 8.50 | 1.04 | 1.21 | 2.67 |
| 21:00 | 136 | ბულგარეთი-ბელარუსი | 1.32 | 4.40 | 9.50 | 1.01 | 1.15 | 3.00 |
| 21:15 | 137 | ფინეთი-ბელგია | 2.15 | 3.20 | 3.15 | 1.28 | 1.27 | 1.58 |
| 22:30 | 138 | გერმანია-სლოვაკეთი | 1.23 | 5.30 | 12.00 | 1.00 | 1.11 | 3.67 |
| 22:00 | 140 | რუმინეთი-სლოვენია | 1.30 | 4.50 | 11.00 | 1.00 | 1.16 | 3.19 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 141 | შვედეთი-ისლანდია | 1.18 | 6.00 | 15.00 | 1.00 | 1.09 | 4.28 |
| 22:15 | 143 | ლუქსემბურგი-ალბანეთი | 6.50 | 3.80 | 1.48 | 2.39 | 1.20 | 1.06 |
| 22:15 | 145 | ბოსნია-მალტა | 1.18 | 6.00 | 13.00 | 1.00 | 1.08 | 4.10 |
| 22:30 | 147 | ლიხტენშტაინი-ესპანეთი | 45.00 | 9.00 | 1.04 | 7.50 | 1.01 | 1.00 |
| 19:30 | 149 | სასომხეთი-პოლონეთი | 10.00 | 4.60 | 1.30 | 3.15 | 1.15 | 1.01 |
| 22:30 | 151 | ესტონეთი-ინგლისი | 13.00 | 4.80 | 1.25 | 3.50 | 1.14 | 1.00 |
| 22:30 | 153 | ლატვია-დანია | 6.00 | 3.70 | 1.55 | 2.28 | 1.23 | 1.09 |
| 22:45 | 155 | ლიტვა-იტალია | 9.00 | 4.20 | 1.35 | 2.86 | 1.17 | 1.02 |
| | | ევ. შესარჩევი მატჩები(21) | | | | | | |
| | | 6 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 218 | უკრაინა (21)-სასომხეთი (21) | 1.20 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.33 |
| 18:30 | 220 | უნგრეთი (21)-ლატვია (21) | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 18:30 | 222 | ხორვატია (21)-საბერძნეთი (21) | 1.90 | 3.20 | 3.45 | 1.19 | 1.22 | 1.66 |
| 20:15 | 223 | დანია (21)-ფინეთი (21) | 1.45 | 3.60 | 6.20 | 1.03 | 1.17 | 2.27 |
| | | ოქროს თასი 2007 (აშშ) | | | | | | |
| | | 6 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 228 | ჰაიტი-გვადელუპა | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| 23:45 | 229 | კოსტა რიკა-კანადა | 1.50 | 3.50 | 5.60 | 1.04 | 1.18 | 2.15 |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 230 | აშშ-გვატემალა | 1.20 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.43 |
| 23:45 | 231 | ტრინიდადი და ტობაგო-სალვადორი | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| | | 8 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 237 | პანამა-ჰონდურასი | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| 23:45 | 238 | მექსიკა-კუბა | 1.20 | 5.00 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.52 |
| | | შვედეთი. თასი | | | | | | |
| | | 6 ივნისი | | | | | | |
| 17:00 | 169 | მიალბი-ელფსბორგი | 4.20 | 3.30 | 1.75 | 1.84 | 1.23 | 1.14 |
| | | ბრაზილიის თასი | | | | | | |
| | | 6 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 170 | ფიგეირენსე-ფლუმინენსე | 2.15 | 3.10 | 2.95 | 1.26 | 1.24 | 1.51 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 6 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 171 | სანტოსი-გრემიო | 1.50 | 3.50 | 5.90 | 1.04 | 1.19 | 2.19 |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 172 | ბოკა ხუნიორსი-კუკუტა | 1.33 | 4.20 | 7.50 | 1.01 | 1.12 | 2.69 |
| | | ჩოგბურთი კაცები Roland Garros | | | | | | |
| | | 6 ივნისი | | | | | | |
| 13:00 | 232 | ჯოკოვიჩი-ანდრეევი | 1.60 | 2.00 | | | | |
| 13:00 | 233 | ნადალი-მოია | 1.03 | 7.50 | | | | |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10066 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 2.15 | 2.10 | 5.10 | 1.06 | 1.51 | 1.48 |
| 10127 | საბერძნეთი-მოლდოვა | 1.35 | 3.20 | 12.00 | 1.00 | 1.21 | 2.52 |
| 10129 | ხორვატია-რუსეთი | 2.45 | 2.00 | 4.20 | 1.10 | 1.54 | 1.35 |
| 10130 | ყაზახეთი-აზერბაიჯანი | 2.60 | 2.00 | 3.75 | 1.13 | 1.53 | 1.30 |
| 10133 | ფარერები-შოტლანდია | 13.00 | 3.40 | 1.28 | 2.69 | 1.16 | 1.00 |
| 10135 | ნორვეგია-უნგრეთი | 1.80 | 2.30 | 7.00 | 1.00 | 1.43 | 1.73 |
| 10136 | ბულგარეთი-ბელარუსი | 1.60 | 2.50 | 8.00 | 1.00 | 1.33 | 1.90 |
| 10137 | ფინეთი-ბელგია | 2.75 | 2.00 | 3.65 | 1.15 | 1.56 | 1.29 |
| 10138 | გერმანია-სლოვაკეთი | 1.52 | 2.70 | 9.00 | 1.00 | 1.30 | 2.07 |
| 10140 | რუმინეთი-სლოვენია | 1.65 | 2.50 | 8.00 | 1.00 | 1.36 | 1.90 |
| 10141 | შვედეთი-ისლანდია | 1.45 | 3.00 | 10.00 | 1.00 | 1.26 | 2.30 |
| 10143 | ლუქსემბურგი-ალბანეთი | 6.00 | 2.40 | 1.85 | 1.71 | 1.41 | 1.04 |
| 10145 | ბოსნია-მალტა | 1.35 | 3.20 | 11.00 | 1.00 | 1.20 | 2.47 |
| 10149 | სასომხეთი-პოლონეთი | 8.00 | 2.50 | 1.60 | 1.90 | 1.33 | 1.00 |
| 10151 | ესტონეთი-ინგლისი | 11.00 | 2.60 | 1.50 | 2.10 | 1.32 | 1.00 |
| 10153 | ლატვია-დანია | 5.80 | 2.10 | 2.00 | 1.54 | 1.48 | 1.02 |
| 10155 | ლიტვა-იტალია | 7.00 | 2.40 | 1.70 | 1.78 | 1.36 | 1.00 |
| 10169 | მიალბი-ელფსბორგი | 4.60 | 2.00 | 2.20 | 1.39 | 1.48 | 1.04 |
| 10234 | ბოდიო გლიმტი-მოლდე | 2.40 | 2.00 | 3.80 | 1.09 | 1.47 | 1.31 |
| 10235 | პიონეფოსი-მოსი | 2.65 | 2.00 | 3.40 | 1.13 | 1.48 | 1.25 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11066 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11127 | საბერძნეთი-მოლდოვა | 1.45 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11129 | ხორვატია-რუსეთი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11130 | ყაზახეთი-აზერბაიჯანი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11135 | ნორვეგია-უნგრეთი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11136 | ბულგარეთი-ბელარუსი | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11137 | ფინეთი-ბელგია | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11138 | გერმანია-სლოვაკეთი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11140 | რუმინეთი-სლოვენია | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11141 | შვედეთი-ისლანდია | 1.45 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11143 | ლუქსემბურგი-ალბანეთი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11145 | ბოსნია-მალტა | 1.45 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11149 | სასომხეთი-პოლონეთი | 12.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.65 |
| 11153 | ლატვია-დანია | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11155 | ლიტვა-იტალია | 11.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.75 |
| 11169 | მიალბი-ელფსბორგი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11234 | ბოდიო გლიმტი-მოლდე | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11235 | პიონეფოსი-მოსი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12066 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 1.90 | 1.70 |
| 12127 | საბერძნეთი-მოლდოვა | 2.10 | 1.55 |
| 12129 | ხორვატია-რუსეთი | 1.60 | 2.00 |
| 12130 | ყაზახეთი-აზერბაიჯანი | 1.60 | 2.00 |
| 12133 | ფარერები-შოტლანდია | 2.60 | 1.35 |
| 12135 | ნორვეგია-უნგრეთი | 1.90 | 1.70 |
| 12136 | ბულგარეთი-ბელარუსი | 1.90 | 1.70 |
| 12137 | ფინეთი-ბელგია | 1.60 | 2.00 |
| 12138 | გერმანია-სლოვაკეთი | 2.20 | 1.50 |
| 12140 | რუმინეთი-სლოვენია | 1.90 | 1.70 |
| 12141 | შვედეთი-ისლანდია | 2.00 | 1.55 |
| 12143 | ლუქსემბურგი-ალბანეთი | 1.70 | 1.90 |
| 12145 | ბოსნია-მალტა | 2.50 | 1.40 |
| 12149 | სასომხეთი-პოლონეთი | 1.90 | 1.70 |
| 12151 | ესტონეთი-ინგლისი | 1.90 | 1.70 |
| 12153 | ლატვია-დანია | 1.70 | 1.90 |
| 12155 | ლიტვა-იტალია | 1.70 | 1.90 |
| 12169 | მიალბი-ელფსბორგი | 1.70 | 1.90 |
| 12234 | ბოდიო გლიმტი-მოლდე | 2.10 | 1.55 |
| 12235 | პიონეფოსი-მოსი | 2.10 | 1.55 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13066 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 1.70 | 1.90 |
| 13127 | საბერძნეთი-მოლდოვა | 2.50 | 1.40 |
| 13129 | ხორვატია-რუსეთი | 1.70 | 1.90 |
| 13130 | ყაზახეთი-აზერბაიჯანი | 1.90 | 1.70 |
| 13133 | ფარერები-შოტლანდია | 2.20 | 1.45 |
| 13135 | ნორვეგია-უნგრეთი | 1.90 | 1.70 |
| 13136 | ბულგარეთი-ბელარუსი | 2.00 | 1.60 |
| 13137 | ფინეთი-ბელგია | 1.70 | 1.90 |
| 13138 | გერმანია-სლოვაკეთი | 1.90 | 1.70 |
| 13140 | რუმინეთი-სლოვენია | 1.90 | 1.70 |
| 13141 | შვედეთი-ისლანდია | 2.10 | 1.60 |
| 13143 | ლუქსემბურგი-ალბანეთი | 2.00 | 1.55 |
| 13145 | ბოსნია-მალტა | 2.30 | 1.45 |
| 13149 | სასომხეთი-პოლონეთი | 2.10 | 1.55 |
| 13151 | ესტონეთი-ინგლისი | 2.10 | 1.50 |
| 13153 | ლატვია-დანია | 1.90 | 1.70 |
| 13155 | ლიტვა-იტალია | 1.90 | 1.70 |
| 13169 | მიალბი-ელფსბორგი | 1.70 | 1.90 |
| 13234 | ბოდიო გლიმტი-მოლდე | 1.50 | 2.10 |
| 13235 | პიონეფოსი-მოსი | 1.50 | 2.10 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (ძირითადი დრო)

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14066 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 1.45 | 2.40 |
| 14129 | ხორვატია-რუსეთი | 1.70 | 2.20 |
| 14130 | ყაზახეთი-აზერბაიჯანი | 1.75 | 2.10 |
| 14135 | ნორვეგია-უნგრეთი | 1.20 | 2.60 |
| 14136 | ბულგარეთი-ბელარუსი | 1.20 | 2.60 |
| 14137 | ფინეთი-ბელგია | 1.75 | 2.10 |
| 14140 | რუმინეთი-სლოვენია | 1.08 | 2.90 |
| 14143 | ლუქსემბურგი-ალბანეთი | 2.50 | 1.30 |
| 14149 | სასომხეთი-პოლონეთი | 2.90 | 1.08 |
| 14151 | ესტონეთი-ინგლისი | 2.90 | 1.08 |
| 14153 | ლატვია-დანია | 2.50 | 1.30 |
| 14155 | ლიტვა-იტალია | 2.60 | 1.20 |
| 14169 | მიალბი-ელფსბორგი | 2.40 | 1.45 |
| 14234 | ბოდიო გლიმტი-მოლდე | 1.70 | 2.20 |
| 14235 | პიონეფოსი-მოსი | 1.80 | 2.00 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15066 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15129 | ხორვატია-რუსეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15130 | ყაზახეთი-აზერბაიჯანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15135 | ნორვეგია-უნგრეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15136 | ბულგარეთი-ბელარუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15137 | ფინეთი-ბელგია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15140 | რუმინეთი-სლოვენია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15143 | ლუქსემბურგი-ალბანეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15149 | სასომხეთი-პოლონეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15151 | ესტონეთი-ინგლისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15153 | ლატვია-დანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15155 | ლიტვა-იტალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15169 | მიალბი-ელფსბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15234 | ბოდიო გლიმტი-მოლდე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15235 | პიონეფოსი-მოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16066 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 1.24 | 3.60 |
| 16129 | ხორვატია-რუსეთი | 1.38 | 2.65 |
| 16130 | ყაზახეთი-აზერბაიჯანი | 1.52 | 2.20 |
| 16135 | ნორვეგია-უნგრეთი | 1.11 | 5.70 |
| 16136 | ბულგარეთი-ბელარუსი | 1.08 | 5.00 |
| 16137 | ფინეთი-ბელგია | 1.52 | 2.20 |
| 16140 | რუმინეთი-სლოვენია | 1.08 | 5.00 |
| 16143 | ლუქსემბურგი-ალბანეთი | 4.20 | 1.15 |
| 16149 | სასომხეთი-პოლონეთი | 6.00 | 1.05 |
| 16151 | ესტონეთი-ინგლისი | 6.70 | 1.02 |
| 16153 | ლატვია-დანია | 4.10 | 1.17 |
| 16155 | ლიტვა-იტალია | 5.70 | 1.11 |
| 16169 | მიალბი-ელფსბორგი | 2.90 | 1.32 |
| 16234 | ბოდიო გლიმტი-მოლდე | 1.40 | 2.55 |
| 16235 | პიონეფოსი-მოსი | 1.55 | 2.20 |

## გოლი: გუნდი-1 ან გუნდი-2 (0:0 ითვლება წაგებად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17066 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 1.85 | 1.95 |
| 17127 | საბერძნეთი-მოლდოვა | 1.85 | 1.95 |
| 17129 | ხორვატია-რუსეთი | 1.85 | 1.95 |
| 17130 | ყაზახეთი-აზერბაიჯანი | 1.85 | 1.95 |
| 17133 | ფარერები-შოტლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17135 | ნორვეგია-უნგრეთი | 1.85 | 1.95 |
| 17136 | ბულგარეთი-ბელარუსი | 1.85 | 1.95 |
| 17137 | ფინეთი-ბელგია | 1.85 | 1.95 |
| 17138 | გერმანია-სლოვაკეთი | 1.85 | 1.95 |
| 17140 | რუმინეთი-სლოვენია | 1.85 | 1.95 |
| 17141 | შვედეთი-ისლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17143 | ლუქსემბურგი-ალბანეთი | 1.85 | 1.95 |
| 17145 | ბოსნია-მალტა | 1.85 | 1.95 |
| 17149 | სასომხეთი-პოლონეთი | 1.85 | 1.95 |
| 17151 | ესტონეთი-ინგლისი | 1.85 | 1.95 |
| 17153 | ლატვია-დანია | 1.85 | 1.95 |
| 17155 | ლიტვა-იტალია | 1.85 | 1.95 |
| 17169 | მიალბი-ელფსბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17234 | ბოდიო გლიმტი-მოლდე | 1.85 | 1.95 |
| 17235 | პიონეფოსი-მოსი | 1.85 | 1.95 |

კრივი

# ოპტიმალური ოქტომბრის მოლოდინში

## მსოფლიომდე ზღვა, მინსკი და ერთი რინგია



ავთანდილ შოშიაშვილი

**ჩეხეთის** საერთაშორისო ტურნირიდან დაბრუნებულ მოკრივეთა ნაკრები მეორე კვირაა, მთელ საქართველოშია გაშლილი — ავთანდილ შოშიაშვილის შეგირდები მშობლიურ ქალაქებსა და რაიონებში ინდივიდუალურად აგრძელებენ ვარჯიშს. ერთ კვირაში კი ისინი ერთად შეიკრიბებიან და საშემოდგომო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ერთობლივ მზადებას შეუდგებიან. სეზონის უმთავრესი ტურნირი კრივის საერთაშორისო ფედერაციამ რუსეთიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაიტანა და თარიღიც ერთი თვით, ოქტომბრამდე გადასწია. ამ ცვლილებამ ჩვენი ნაკრების გეგმებიც არია და ერთხანს გაურკვეველი იყო, როგორი იქნებოდა მოსამზადებელი ეტაპი. მთავარ მწვრთნელსა და ფედერაციის ჩინოსნებს უკვე ახალი გეგმაც შეუდგენიათ. **ავთანდილ შოშიაშვილმა** სიახლეები თავად გვაცნობა

— გაზაფხულზე სამი სერიოზული ტურნირი მოვიარეთ და მოსამზადებელი ციკლის დასაწყისისთვის გადავწყვიტეთ, ორკვირიანი გამაჯანსაღებელი შეკრება მოვაწყოთ. მომავალი კვირიდან ზღვაზე გავემგზავრებით. თბილისში 26 ივნისს დავბრუნდებით და ხუთიოდ დღეში ბელარუსში წავალთ, ასევე ორი კვირით. მინსკში ერთობლივ წვრთნებში მივიღებთ მონაწილეობას და ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზეც გამოვალთ. გარდა ამისა, ოქტომბრამდე ბიჭებს რინგზე ერთხელაც ავუშვებ, თუმცა სად და როდის, ამას მალე დავაზუსტებთ. გეგმაში ერთი ფიზმომზადების და ერთი სრული დატვირთვების შეკრებაც შედის. ამ უკანასკნელს ალბათ აზერბაიჯანის ან უკრაინის ნაკრებთან ერთად მოვაწყობთ. მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანაში კი ათი დღით ადრე ჩავალთ, აკლიმატიზაციასაც გავივლით და დასკვნითი შეკრებაც იქვე გვექნება.

— ბელარუსში ჩვენს გარდა, ოთხი ნაკრები იქნება და წვრთნა 10 ივლისამდე გასტანს. 10-ში ტურნირი დაიწყება და რინგზე უკვე ოცდაოთხი ნაკრები ავა. სავარჯიშოდ დაახლოებით ათკაციან შემადგენლობას წავიყვანთ. ტურნირზე კი მხოლოდ ექვსი გამოვა. ეს შეზღუდვა თავად ორგანიზატორებმა დაგვიწესეს და დიდად არც გაგვიპროტესტებია. რამდენიმე წონაში ბიჭები ზედმეტ კილოგრამებს იკლებენ და მინსკში მათი გადატვირთვა დიდად სასურველი ჩვენთვისაც არ უნდა იყოს.

— მსოფლიოს ჩემპიონატზე 9-10 მოკრივით გამოვალთ. აქედანვე გადაწყვეტილია, რომ 51 კილოგრამში არავინ გვეყოლება. 91 კილოგრამში კი იაგო კილაძის საკითხი ჯერ ბოლომდე გარკვეული არ არის. ეს ბიჭი აპრილში კიევის საერთაშორისო ტურნირზე ნოკდაუნში აღმოჩნდა, ამ ეტაპზე მხოლოდ ფიზიკურად ვარჯიშობს და იმედია, ფორმაში ჩადგომასაც მოასწრებს. დანარჩენ ცხრა წონით კატეგორიაში ლიდერები გამოკვეთილნი არიან, მაგრამ ჯერ არავისთვის არ მითქვამს, რომ მათი შემცვლელი არ არსებობს. ჯობს ჯანსაღი შიდა კონკურენცია შემოდგომამდე გაგრძელდეს და საუკეთესოები მერელა დავასახელოთ.

— კოტე კუპატაძე კარგა ხანია, ნაკრებისგან იზოლირებულად, ინდივიდუალურად ვარჯიშობს. ბევრჯერ ვესაუბრე, მაგრამ ვერაფრით დავითანხმე. კონკრეტულად, არც მიზეზს ამბობს და არც იმას ამბობს, თუ როდის შემოგვიერთდება. მინსკშიც სიამოვნებით წავიყვანდი, მაგრამ სულ ერთსა და იმავეს იმეორებს, ცოტა ხანი მაცალდეთო. ალალად გეტყვით, კუპატაძის ჩხუბის მანერა და მებრძოლი ხასიათი ძალიან მომწონს. ყველაფერს რომ შევეშვათ, ევროტიტულები შემთხვევით არ მოდის. თან ასაკიც არ აქვს ისეთი, რომ მასზე ხელის ჩაქნევა შეიძლებოდეს. კარგი იქნება, თუ დროზე შემოგვიერთდება, თორემ ჩემპიონატის წინ რომ მოგვმართოს და კონკურენტთან სპარინგ-შეხვედრა მოითხოვოს, ამით ნაკრებში ვერ დავაყენებთ. ერთი ბრძოლისთვის განწყობა სულ სხვა რამეა, დიდი ტურნირისთვის სრულყოფილი მოსამზადებელი ციკლის გავლა კი სხვა.



—მოგეხსენებათ, მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე რვა საუკეთესოში მოხვედრა ავტომატურად იძლევა პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიას. რეალურად ორ საგზურზე ვფიქრობთ, თუმც იქნებ უკეთესი შედეგიც ვაჩვენოთ. რაც შეეხება ტურნირის მასპინძლის შეცვლას, არ მგონია, ამან ჩვენს შანსებზე დიდი გავლენა იქონიოს. კენჭისყრამ შეიძლება, რუსეთშიც და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ერთნაირად გაგიმართლოს, ან გაგწიროს. მთავარია, ჩემპიონატისთვის სრულყოფილად მოვემზადოთ და ოქტომბერს ოპტიმალურ ფორმაში შევხვდეთ.

**ოთარ გალლაძელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჰერბერტმა 22 დაიბარა

**გუშინ** ეროვნული ნაკრების თავკაცმა გორდონ ჰერბერტმა, თანაშემწე დავით უსტიაშვილთან შეთანხმებით, ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა გამოაქვეყნა. „გორდი“ თბილისში ჯერ არ ჩამოსულა, თუმცა ნაკრების კანდიდატებს აქედანვე შეატყობინა 12 ივლისისთვის მზად იყავითო.

ამ დღეს ჩვენი ნაკრები საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე კანდიდატებით შეიკრიბება და მას 18 ივლისს ლეგიონერებიც შეუერთდებიან.

აი, ის 22 მოთამაშეც, რომლებიდანაც ჰერბერტი ნაკრებს დააკომპლექტებს:

**უკანახაზელები:** ტაირონ ელისი (ნაპოლი, იტალია), კოტე ტულუში (აზოტი), გიორგი ცინცაძე (როკი, ესტონეთი), ლაშა გამყრელიძე (აზოტი), შიო ხეცურიანი (თსუ), მანუჩარ მარკოიშვილი (ოლიმპია, სლოვენია), ანატოლი ბოისა (აზოტი), ირაკლი ხოშტარია (ავიამშენი), ბესიკ ლეჟავა (თსუ), დავით საყვარელიძე (ნაზოლინის უნივერსიტეტი, აშშ)

**ფორვარდები:** ვლადიმერ ბოისა (სიენა, იტალია), ნიკოლოზ ცქიტიშვილი (კახა სან ფერნანდო, ესპანეთი), ვახტანგ ნაცვლიშვილი (დიჟონი, საფრანგეთი), ვიქტორ სანიკიძე (ესტუდიანტესი, ესპანეთი), ზვიად ბაბიაშვილი (ავიამშენი), რევაზ დიდია (აზოტი), მიხეილ ბერიშვილი (თსუ), გიორგი მარკოიშვილი (აზოტი).

**ცენტრები:** ზაზა ფაჩულია (ატლანტა, ნბა), დავით უგრეხელიძე (აზოტი), გიორგი შერმადინი (მაკაბი), სერგო ათუაშვილი (ნეპტუნასი, ლიტვა)

მაშ ასე, ჰერბერტმა ყველა იმ მოთამაშეს უხმო, რომლებსაც ქართულ კალათბურთში სიტყვა ეთქმის. გვარიანი შესვენების შემდეგ შანსი მიეცა ირაკლი ხოშტარიას, რომელმაც ეროვნულ გუნდში ბოლოს 2001 წელს ითამაშა.

კანდიდატებში მოხვდა ასევე ეროვნულ ნაკრებში ერთი ოფიციალური თამაშის ჩამტარებელი ზვიად ბაბიაშვილი, რომელიც გაფართოებულ შემადგენლობაში ხშირად ხვდებოდა, მაგრამ მხოლოდ ერთხელ, ისიც აზერბაიჯანთან მოირგო ნაკრების მაისურა.

არიან დებიუტანტებიც: ბესიკ ლეჟავა, სერგო ათუაშვილი, რევაზ დიდია და მიხეილ ბერიშვილი. ბოლო სამნი ახალგაზრდულის წევრებიც არიან და მათი ძირითადში მოხვედრა ნაკლებად სავარაუდოა.

22 ივლისს ჰერბერტი რჩეულებს ბულგარეთისკენ დაძრავს, საიდანაც დაიწყება ჩვენების ერთთვიანი საზღვარგარეთული შეკრება. ქართველები ბულგარეთთან ერთად პორტუგალიურ საერთაშორისო ტურნირშიც მიიღებენ მონაწილეობას და ფრანგულ პოშიც გამართავენ რამდენიმე ამხანაგურ მატჩს.

**ირაკლი პერტაია**

# სლოვენიამდე უკრაინა

## უსტიაშვილი თორმეტეულს თხუთმეტიდან აარჩევს




**საქართველოს** ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება გუშინწინ საკალათბურთო აკადემიის დარბაზში დაიწყო. დავით უსტიაშვილის გუნდს 6-დან 15 ივლისამდე სლოვენიურ ნოვა გორიცაში ძველი კონტინენტის საუკეთესო ახალგაზრდულ ნაკრებებთან მოუწევს ჭიდილი. მიზანი აქედანვე ცნობილია — უძლიერესთა შორის, ანუ A დივიზიონში ადგილის შენარჩუნება.

შარშანდელი შემადგენლობა რომ ჰყავდეს, ჩვენს ნაკრებს ვინძლო მედლებისთვისაც ებრძოლა, მაგრამ უსტიაშვილის გუნდის წამყვანმა მოთამაშეებმა 20 წელს გადააბიჯეს და ახალგაზრდულში ველარ ითამაშებენ. ვიქტორ სანიკიძე, მანუჩარ მარკოიშვილი, გიორგი ცინცაძე — ეს ტრიო ეროვნული ნაკრებისთვისაა ძალა და 20-წლამდელთათვის ხომ საერთოდ. თუმც დავით უსტიაშვილს მთლად ხელწამოსაკრავი გუნდი როდი ჰყავს, თანაც ახალგაზრდებს ფედერაციამ საჩუქარი მოუმზადა უკრაინული შეკრების სახით.

თავიდანვე იგეგმებოდა, რომ ოცწლამდელებს უცხო ქვეყნის თანატოლებთან უნდა ესპარინგათ, მაგრამ მეტოქის ვინაობა და ადგილი დასადგენი იყო. ახლა კი გადაწყდა, რომ უსტიაშვილის სამწყსო უკრაინაში გაემგზავრება და იქ სამ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს.

ჩვენები კიევში 27 ივნისს გაემგზავრებიან, მანამდე კი უსტიაშვილმა ის 12-ეული უნდა შეარჩიოს, რომელსაც სლოვენიაში დაეყრდნობა. ამჟამად ნაკრებში ეს 14 მოთამაშე ვარჯიშობს: რევაზ დიდია, ირაკლი ჯგერენაია, ლევან ფაცაცია, ლექსო ლაფანაშვილი, გიორგი გაფრინდაშვილი, ირაკლი გულისაბედაშვილი, გიორგი შერმადინი, რიჩარდ მათიაშვილი, ლევან ცეკვავა, მიხეილ ჭოჭუა, გიორგი პირველაშვილი, ლუკა ნოზაძე, მიხეილ ბერიშვილი და ბექა წივწივაძე. ლაშა ფარღალავა ამერიკაშია და ნაკრებს მალე შეუერთდება.

შეგახსენებთ, რომ ევროჩემპიონატის ქვეჯგუფში ქართველთა მეტოქეები იქნებიან იტალიის, ლატვიისა და ბულგარეთის ნაკრებები. მომდევნო ეტაპზე სამი საუკეთესო გუნდი გადის, რომლებიც ამ ბარიერის დაძლევით A დივიზიონში ადგილს ინარჩუნებენ. ჯგუფებში ჩარჩენილი 4 გუნდი კი უძლიერესთა შორის დასარჩენი 2 საგზურისთვის იბრძოლებს.

**ირაკლი პერტაია**

# ევროკალათი

## ვოლკოვი ხრამაევის სკამზე?



**უკრაინულ** გაზეთ „სევოდნიას“ ცნობით, უკრაინულ კალათბურთს ახალი მეთაური ეყოლება. ფედერაციის პრეზიდენტის პოსტიდან ძველ კალათბურთელ ზურაბ ხრამაევის გადადგომის შემდეგ მის სავარაუდო შემცვლელად ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრ ვოლკოვს ასახელებენ. თუმც არიან სხვა პრეტენდენტებიც და ყველაფერი 15 ივნისს ფედერაციის სხდომაზე და საპრეზიდენტო არჩევნებზე გაირკვევა.

ვოლკოვიც ძველი კალათბურთელია და სტაჟიან ქართველ ქომაგებსაც კარგად ეხსომებათ. საბჭოეთში განთქმულმა ვოლკოვმა ამერიკასაც გააცნო თავი — მან ერთ-ერთმა პირველმა გაალო რკინის კარიბჭე და ნბა-ში თამაშიც მოასწრო.

ვოლკოვი იქნება, თუ სხვა, უკრაინის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტს დიდი სამუშაოს გაწევა მოუწევს ქვეყნის შიდა ჩემპიონატის სტრუქტურულად დასალაგებლად. უკრაინის უმაღლეს ლიგაში მუდმივად მერყეობს მონაწილეთა რიცხვი და საშუალო დონეც არცთუ მაღალია, მიუხედავად იმისა, რომ იქ ევრომასშტაბით რამდენიმე კარგი გუნდი თამაშობს.

## რუსული არმია კაპიტანს იტოვებს

**რუსეთის** მრავალგზის ჩემპიონი და წლევანდელი ევროლიგის ფინალისტი ცსკა მომავალ სეზონს მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე შეხვდება. მოსკოვურმა სუპერკლუბმა მოლაპარაკებების შემდეგ კიდევ ორი წლით დაიტოვა ვეტერანი კაპიტანი ზახარ პაშუტინი, რომელიც უცხოელებით გაჯერებულ ამ გუნდის მთავარ ბირთვში ცენტრ ვლადიმირ სავრასენკოსთან ერთად რუსული საკალათბურთო სკოლის ელიტას წარმოადგენს.

## მონოლითური პანათინაიკოსი




**ნათქვამია,** გამარჯვებულ შემადგენლობას არ ცვლიანო და, სეზონთაშორის პერიოდში დიდ ცვლილებებს არც ბერძნული „პანათინაიკოსი“ გეგმავს, რომელმაც წლეულს ევროლიგის ფინალში უდაძაბულეს ბრძოლაში რუსული ცსკა დაამარცხა. ჟელკო ობრადოვიჩის გუნდში ახალი ხელშეკრულებით დარჩნენ ძველ კონტრაქტამოწურული ამერიკელი ფორვადი მაიკ ბატისტი და ბერძენი გამთამაშებელი დიმიტრიოს დიამანტიდისი. აგრეთვე, გამზადებული კონტრაქტები წინ უდევთ სერბ მილოშ ვუიანიჩს, სლოვენიელ სანი ბეჩიროვიჩს და ბერძენ ნიკოს ხაძივრეტასს. ესენიც ალბათ იქვე დარჩენას ისურვებენ.

## მაკაბიმ კაბინეტი გამოცვალა

**სამაგიეროდ,** კიდევ ერთი ევროგრანდი, თელ ავივის „მაკაბი“ სტრუქტურულად გადახვაფერდება. ევროლიგის 2004 და 05 წლებში მომგები და 2006 წლის ფინალისტი ახლა მეოთხედფინალიდან გამოაკლდა კონტინენტის უპრესტიჟულეს საკლუბო ტიტულზე ბრძოლას და ცვლილებების კატალიზატორიც ეს გახდა. კლუბის პრეზიდენტი შიმონ მიზრახი ამბობს, რომ ამიერიდან გუნდის გენერალური მენეჯერი იქნება ევი შერფი, რომელსაც ევროპულ საკალათბურთო წრეებში უფრო კარგ მწვრთნელად იცნობენ, ვიდრე საკალათბურთო საქმოსნად. ხოლო გუნდს ახლო წარსულში ისრაელის ნაკრების უცნობილესი მოთამაშე ოდედ კატაში გაწვრთნის.

კითხვაზე, ჩაერევა თუ არა შერფი კატაშის საქმეებში, უფრო კონკრეტულად კი გუნდის სამწვრთნელო პროცესში, მიზრახმა ჟურნალისტებს უპასუხა — „არა!“ მისი თქმით, „მაკაბის“ მხოლოდ კატაში გაწვრთნის და გუნდიც მისი მითითებით დაკომპლექტდება. შერფი კი, თუ საჭირო გახდა, მას კონსულტაციებით დაეხმარება.

IRB-ს ერთა თასი. 5 ივნისი. ბუქარესტი

# საქართველო 26:18 ნამიბია

## ნამიბია ნახევარმა საქართველომ ისწავლა და მოიგო



ირაკლი აბუსერიძე



მამუკა მაგრაქველიძე

საქართველო: ბარკალაია, შკინინი, გიგაური, დ. კაჭარავა, ელოშვილი, კვირიკაშვილი, აბუსერიძე (კაპ); მაგრაქველიძე, დადუნაშვილი, ხინჩაგაშვილი, დათუნაშვილი, დიდებულიძე, სუთიაშვილი, ურუშაძე, ჩხაიძე

*სათადარიგონი:* ჭყონია, ელენტი, ყუფარაძე, მჭედლიშვილი, ზ. მაისურაძე, ურჯუკაშვილი, გუგრგენიძე, სამხარაძე, ი. მაისურაძე, ნატრიაშვილი, ხამაშურიძე

ვლ: მაგრაქველიძე, დიდებულიძე, ურჯუკაშვილი; 1გ: კვირიკაშვილი; 2ს: კვირიკაშვილი; 1პ:კვირიკაშვილი

ნამიბია: ლოსპერი, ვიტბოი, ბოთა, პოუელი, აფრიკა, იუსტინ ვესტჰოიზენი, ჯანტისი, ბურხერი, დეპლისი, ნიუინიუსი, ესტერიუსი, შენეკალი, ვიზერი (კაპ), პორნი, რედელინგაიზი

*სათადარიგონი:* ბორდერჰორსტი, დეტოიტი, ლენსინხი, ფანლილი, კაცომბიაცე, როსოუ, ბოკე, დურანდი, დუენეიჯი, ლინდველტი, ხრობლერი

2ლ: ვესტჰოიზენი, ვიზერი; 1გ: ლოსპერი; 2ს: ვესტჰოიზენი

**გუშინ** ბუქარესტის „ტრიუმფალური თაღის" სტადიონზე საქართველოს ნაკრებმა რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) მიერ ორგანიზებულ სადებიუტო ტურნირზე ნამიბიას მოუგო. ტურნირს IRB მსოფლიოს თასისთვის გუნდების მოსათელად მართავს და აფინანსებს კიდეც.

მოგება ჩვენებისთვის ორმაგად ფასობს.

ქართველთათვის აქამდე უცნობი ნამიბია წლევანდელ მსოფლიოს თასზე ჯგუფში „ლელოების" მთავარი მეტოქეა, ვისი ძლევაც ჩვენების მინიმუმიც იქნება და მაქსიმუმიც. ჰოდა, ქართველებმა ახლა მთავარი მეტოქე ხომ შეისწავლეს და თან სამსოფლიოსთასო მატჩის წინ ფსიქოლოგიური უპირატესობაც მოიპოვეს. ამასთან, ფრანგული კლუბების ჯიუტობის და ტრავმიანობის გამო საქართველო მეორე ნაკრებით ჩავიდა ტურნირზე. ნამიბიასთან მატჩში კი ჩვენების მწვრთნელთა საბჭომ შეკოწიწებული გუნდის სამი ძირითადი რაზმელი მალხაზ ურჯუკაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე და ზურაბ მჭედლიშვილი სათადარიგოებში დასვა. ამით ქართველთა უფროსობამ მატჩიც მოიგო და თან ბოლომდე არ გაიშიფრა მთავარ მეტოქესთან, ვისაც მსოფლიოს თასზე, თქმა არ უნდა, უფრო გამოცდილ და საბრძოლო რაზმს შეახვედრებს. მატჩი ძალიან სასეირო გამოდგა. ტაიმნახევარი მეტოქეებმა ერთმანეთი არ მოასვენეს. პირველივე წუთებში ჩვენები მამუკა მაგრაქველიძის და ვიქტორ დიდებულიძის ლელოებით დაწინაურდნენ და ერთ ორწუთიან მონაკვეთს თუ არ ჩავთვლით, მეტოქე ახლოს არ გაიკარეს. არადა, ნამიბიას ზე-14-ში გამოწრთობილი შურდულივით მოიერიშეები და მძიმე შერკინება ჰყავს.

„მართლაც ძალიან მაგარი მატჩი გამოდგა. ბოლო წუთამდე ამოსუნთქვის საშუალება არ გვქონია. თამაშის ბოლოს კი მერაბ კვირიკაშვილმა არეკნი გაიტანა და გულზე მოგვეშვა. ნამიბია ძლიერი გუნდია, მაგრამ, ჩემი აზრით, მსოფლიოს თასზეც უნდა მოვუგოთ. მით უმეტეს, ამ მატჩში ძირითადი შემადგენლობის ცხრა მორაგბე გვაკლდა" — გვითხრა ირაკლი აბუსერიძემ, რუმინეთში ნამატჩევს რომ დავუკავშირდით.

ცნობისათვის: 30 წლის ირაკლი აბუსერიძე ნამიბიასთან საქართველოს ნაკრებს პირველად კაპიტნობდა. რაც ნაკრები შეიქმნა, „აბუ" ჩვენების რიგით მე-17 ყოჩია.

**ბაჩო სვანიძე**

### დანარჩენი მატჩები

5 ივნისი

**არგენტინა A 27:17 იტალია A**

**რუმინეთი 7:61 ს. აფრიკა U23**




# შალვა, შატორუს მთავარი მექულე

შალვა პაპაშვილს საქართველოს ნაკრებში არასტაბილურად იწვევენ. ბოლოს ესპანეთთან წლეულს გამართულ საერთასო მატჩი ითამაშა. ჩვენების მესამეხაზელი „შატორუს" მთავარი მექულე გახდა და იქაური რეგიონალური პრესისთვისაც სასიამოვნო და სასურველი რესპოდენტია. სეზონის დამთავრების შემდეგ საქართველოში ჩამოსულ შალვა პაპაშვილს ფრანგულ ამბებზე და მის მომავალ გეგმებზე ვესაუბრეთ

— „შატორუ" მესამე დივიზიონში თამაშობს და წლეულს მეორე დივიზიონში გადასვლას ვგეგმავდით, მაგრამ პლეი ოფში დავმარცხდით.

— გავიგეთ, რუსეთის უმაღლესი ლიგის გუნდში გადადიხარ...

— კრასნოიარსკის „იარიდან" მომივიდა მოწვევა. „იარი" შარშანდელი ფინალისტი და რუსეთის არაერთგზის ჩემპიონია, ფინანსურადაც არ უჭირს. რადგან საფრანგეთის ჩემპიონატში სეზონებს შორის შესვენებაა, ვფიქრობდი, დროს უქმად არ დავკარგავ და რუსეთში სამ თვეს ვითამაშებ-მეთქი, მაგრამ ვიზასთან დაკავშირებით პრობლემები შემექმნა და ერთი თვეა, რაც კრასნოიარსკში წასვლა გაჭიანურდა.

— რუსეთში თუ გადახვედი, ხელსაყრელი პირობების შემოთავაზების შემთხვევაში, საფრანგეთიდან წამოსვლას და კარიერის ჩვენს მეზობელ ქვეყანაში გაგრძელებას თუ გეგმავ?

— ფინანსური შემოთავაზებები ორივე გუნდიდან თითქმის იდენტურია, მაგრამ საფრანგეთშიც და კერძოდ, ჩემს გუნდშიც იმდენად კარგი ვითარებაა მორაგბეებისთვის შექმნილი, რომ სხვა ქვეყანაში თამაში ნამდვილად არ მინდა.

— საქართველოს თასზე რუსთავის „ხარებს" გულშემატკივრობდი. რას ფიქრობ, რაც საფრანგეთში წახვედი საქართველოს ჩემპიონატის დონე ამაღლდა?

— აქ „აკადემიაში" ვთამაშობდი და ვფიქრობ, მაშინდელი შემადგენლობით საფრანგეთის მეორე დივიზიონის კლუბებსაც კი დავამარცხებდით. დღეს, საქართველო ბევრმა მორაგბემ დატოვა, რომლებიც კარიერას სხვა ქვეყნებში აგრძელებენ, საქართველოდან მოთამაშეთა გადინებამ ჩვენი ჩემპიონატის დონის ვარდნა გამოიწვია.

— გითამაშია საქართველოს სორელისეულ ნაკრებში, რამდენიმე შეხვედრა ქართველი მწვრთნელების ხელშიც ჩაატარე. როგორ ფიქრობ, განვითარდა ჩვენი „ლელოების" თამაში სორელის შემდეგ?

— ვფიქრობ, განვითარდა. უფრო ლეგიონერების კარგი თამაშისა და გამოცდილების ხარჯზე. ჩვენი სამწვრთნელო შტაბიც ისეთ მორაგბეებს არჩევს, რომლებიც უფრო ჯიგრით და შემართებით თამაშობენ. მოკლედ რომ ვთქვათ, ქართველი მწვრთნელები ზედმიწევნით კარგად იცნობენ საკუთარ მორაგბეებს.

— ბოლო დროს ნაკრებში არ გამოგიძახეს, იქნებ მსოფლიო თასისთვის შერჩეულ გუნდშიც ვერ მოხვდე...

— საქართველოს ნაკრებში თამაში ყველა ქართველი მორაგბის ოცნება და თვითმიზანი უნდა იყოს. არც მე ვარ გამონაკლისი. ამ ეტაპზე ჩემს პოზიციაზე მოთამაშე მორაგბეები უფრო კარგ ფორმაში არიან. მე ჯერ მხოლოდ 25 წლის ვარ და მომავალი წინ მაქვს, ყველაფერს გავაკეთებ საამისოდ, რათა საქართველოს ნაკრებში ჩემი ადგილი დავიმკვიდრო.

**ზურაბ მიგრიაული**

# ტრადიციული თბილისი მოსკოვისთვის

**ევროპისა** და მსოფლიოს სერიებზე ნაშვიდკაცარი საქართველოს ნაკრები თბილისში დაბრუნდა და ამ უქმეებზე „მიხეილ მესხის" სტადიონზე გასამართ ევროპული შვიდკაცას სათბილისო ეტაპისთვის ემზადება.

თბილისის შვიდკაცა მეხუთედ იმართება, თუმც დავაზუსტოთ, რომ ხუთი ტურნირიდან ერთი ბათუმში ჩატარდა, მაგრამ არ გაამართლა. სხვათა შორის, სწორედ ბათუმურ ფინალში ბოლო წამებზე მოუგეს ჩვენებმა რუსებს. სხვა ეტაპებზე კი ფინალი ტრადიციულად საქართველო-საფრანგეთი იყო. ამ ოთხი ფინალიდან ქართველებმა სამი მოიგეს, შარშანწინ კი ფრანგებმა იჩემპიონეს.

წლევანდელ ეტაპზე ათი ნაკრები ირაგბებს, რომლებიც ორ ხუთგუნდა ჯგუფში გადანაწილდნენ. ჯგუფების ორ-ორი საუკეთესო ორ-ორი გუნდი პლეი ოფში თასისთვის იბრძოლებს, ჯგუფში ჩარჩენილები კი დანარჩენ ადგილებს გაინაწილებენ.

ტრადიციულად, საქართველო და საფრანგეთი თბილისური ეტაპის უმთავრესი ფავორიტები არიან, მით უმეტეს, „მიხეილ მესხზე" არ ირაგბებენ კლოდ სორელის რუსეთი და ევროპული შვიდკაცას ჯილა პორტუგალია.

ამის გათვალისწინებით ფინალშიც, ალბათ ისევ საქართველო და საფრანგეთი შეხვდებიან, რაც ჩვენებისთვის საკმარისი იქნება, ორი კვირის თავზე მოსკოვში გასამართ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე რომ მოხვდნენ.

**ბაჩო სვანიძე**



თბილისის შვიდკაცას ტრადიული ფინალისტები: საფრანგეთი და საქართველო

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| საფრანგეთი | საქართველო |
| უკრაინა | მოლდოვა |
| ბელგია | ლატვია |
| აზერბაიჯანი | ისრაელი |
| ბულგარეთი | საბერძნეთი |

# როლან გაროსი 2007
## პარიზი. 27 მაისი – 10 ივნისი. საპრიზო 13 422 080 €

# პარიზი იჩებით
## სერბებმა თიხაზე დარეკეს


ანა ივანოვიჩი

ხერხი სჯობია ღონესაო, ხომ გაგიათ, და ზუსტად ამ დევიზით ჩაიარა გუშინ „როლან გაროსის" ქალთა მეოთხედფინალებმა — ოთხიდან სამ დუელში ფიზიკური ძალა მოხერხებამ და გონებრივმა სიხარტემ აშკარად დაჩაგრა.

ჩვენ კი ნაადრევ ფინალად გამოცხადებული მატჩით დავიწყოთ. ეს მართლაც მაგარი სანახაობა უნდა ყოფილიყო, მარტო შესავალი ნახეთ, ყურისთვის როგორ ჟღერდა — ჟუსტინ ენინი სერენა უილიამსის წინააღმდეგ, ანუ ერთურთს თანამედროვე ჩოგბურთის ორი ყველაზე ტიტულიანი ჩოგნის მქნეველი უპირისპირდებოდა.

მაგრამ დანანებით უნდა ვთქვათ, რომ მატჩმა მოლოდინი ვერ გაამართლა — ენინმა ამერიკელს თიხნარზე თამაშის მინი-გაკვეთილი ჩაუტარა და „როლან გაროსის" კორტებზე მათი ბოლო ჯახისა არ იყოს, რაც 2003 წელს მოხდა, ახლაც კინაღამ ატირებული გაუშვა კორტიდან. ოთხი წლის წინ ეს ბაყბაყდევა იანკი ცალკე ჭინკა ბელგიელის უზადო თამაშმა, ცალკე კი ტრიბუნების მიერ მსაჯთან დავისთვის მოწყობილმა ობსტრუქციამ აატირა. სერენამ ვერც ახლა მოთოკა ნერვები და მეორე სეტის დასაწყისში ჩოგანი გამწარებით დაახეთქა კორტზე, რის გამოც ტრიბუნებმა ისევ სტვენით აიკლეს. თუმც ამჯერად უმცროსმა უილიამსმა თავი შეიკავა და სახალხოდ დამატებითი ემოციების გამოხატვას მოერიდა.

ენინის სუპერსვლა კი გრძელდება — ბელგიელს, რომელიც თავის მეოთხე და ზედიზედ მესამე „როლანგაროსულ" ჯილდოს უმიზნებს, პარიზის კორტებზე 31 წაუგებელსეტიანი სერია აქვს და გაჩერებას არც აპირებს. თან აქვე ვთქვათ, რომ ანგარიში სრულად არ გამოხატავს იმ უპირატესობას, რაც გუშინ ჟუსტინს ჰქონდა — ჯერ ერთი, სერენას ტრადიციული ძალისმიერი თამაში თიხნარზე მეტოქისთვის ჩვეულად მომაკვდინებელი ვერ არის, თან მას საკმარისი საჩოგბურთო ფანტაზია არ ჰყოფნის, რომ ენინისნაირ შემოქმედს მოერიოს.

„მატჩის პირველი გათამაშებიდან ბოლომდე კონცენტრირებული ვიყავი. ამ მოგებისთვის მენტალურადაც მოვემზადე და ემოციურადაც" — განაცხადა ნამატჩევს გახარებულმა ენინმა.

ფიზიკურ ძალაზე მოხერხების ზეობა იყო სხვა მეოთხედფინალებშიც. სერბულმა დუეტმა ისტორია გადაწერა — პირველად მოხდა, რომ „როლან გაროსზე" საუკეთესო ოთხეულიდან ორი ამ ბალკანური ქვეყნის წარმომადგენელია. სხვა სერბი, რომელმაც ამდენს და უფრო მეტსაც მიაღწია პარიზში, ლეგენდარული მონიკა სელეში გახლავთ. აშშ-ს მოქალაქეობის მიღებამდე სელეში სწორედ სერბეთის სახელით გამოდიოდა და 1990-1992 წლებში აქ სამჯერ იჩემპიონა. მანამდე კი, 1977 წელს, იუგოსლავია მიმა იაშოვეცმა განადიდა პარიზში. ჰოდა, ელენა იანკოვიჩი და ანა ივანოვიჩი დიდი თანამემამულეების მიღწევის გამეორებას ეცდებიან.

ამ დუეტიდან განსაკუთრებით ანა ივანოვიჩის გამარჯვება გამოვყოთ, რომელმაც ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი, სვეტლანა კუზნეცოვა დასცა. მართალია, ამ მატჩის ბედი სამ სეტში გადაწყდა, მაგრამ 19 წლის სერბმა მოგებულ ორ პარტიაში მხოლოდ გეიმი დათმო და რუსი მაგრადაც შეარცხვინა.

იანკოვიჩ-ნიკოლ ვაიდიშოვას შეხვედრაში კი თავიდანვე ცნობილი იყო, რომ ბევრ რამეს ფსიქოლოგიური მომზადება გადაწყვეტდა. ყველაფერი ეგრე აგიხდეთ — თინეიჯერი ჩეხი კორტზე უკვე ნერვული აშლილობის ზღვარზე გავიდა და მთელი მატჩის განმავლობაში თამაშის მაგივრად მსაჯებთან კამათს უფრო მეტ დროსა და ენერგიას უთმობდა. შედეგი გასაკვირი აღარც არის — სერბმა ორ სეტში იხეირა.

ერთდერთი მეოთხედფინალი, სადაც ძალამ თავისი გაიტანა, რუსების შინაომი იყო — აქ მარია შარაპოვამ ანა ჩაკვეტაძეს ადვილად გამოუყვანა წირვა. პატი შნიდერთან წვალების შემდეგ ჭკუანასწავლმა მაშამ თავიდანვე ისე მძლავრად დაიწყო, რომ ჩაკვეტაძე მხოლოდ აქა-იქ თუ გაიბრწყინებდა ხოლმე. რუსმა პრიმამ კი პირველად უწია „როლან გაროსის" ნახევარფინალს.

ნახევარფინალებში ენინი იანკოვიჩს, შარაპოვა კი ივანოვიჩს შეხვდება.

ორი მეოთხედფინალი გაიმართა კაცთა შორისაც, რომელმაც ერთი ნახევარფინალური წყვილი გამოავლინა.

სლემტურნირებზე 36-სეტიანი წაუგებელი სერია შეუწყდა როჯერ ფედერერს, რომელიც ტომი რობრედომ გუშინ მაგრად ანერვიულა. ასე გაბრაზებული და წყობიდან გამოსული შვეიცარიელი კარგა ხანია არ გვინახავს — წარმოიდგინეთ, მუდმივად მშვიდი „მხიარული როჯერი", რომელიც მატჩის მიმდინარეობისას ემოციებს თითქმის არ გამოხატავს, გუშინ გახელებული ეჩხუბებოდა მსაჯებს. ეს ერთ სანახაობად ღირდა და რობრედოს მარტო ამისთვის უნდა მოვახსენოთ მადლობა. თუმც დიადი ალპელის გაბრაზებამ პიკს მესამე სეტის დასწყისში უწია, როცა ანგარიში პარტიებში 1:1 იყო და პირველ გეიმში ესპანელს ორი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა. აქ ფედერერი სულ მთლად გახელდა და ესპანელს ტანკივით გადაურბინა.

ფედერერმა შვებით კიდევ ერთხელ ალბათ მაშინ ამოისუნთქა, როცა მეორე მეოთხეფინალის შედეგი გაიგო. ხუმრობა იქით იყოს და შანსი იყო, შვეიცარიელი კოშმარად ქცეულ და წლეულს მის ორჯერ დამცემ გილერმო კანასს გადაჰყროდა. თუმც ამ საქმეს წინ ნიკოლაი დავიდენკო გადაელობა, რომელმაც დავიდ ნალბანდიანის შემდეგ ზედიზედ მეორე არგენტინელი დასცა.

„მხიარულ როჯერს" კანასის თავიდან აცილება შეიძლება კი გაუხარდა, მაგრამ საეჭვოა, დავიდენკოსთან იოლი გასეირნება ელოდეს.

**ბაჩა ლომაშვილი**

5 ივნისი

### კაცები
#### მეოთხედფინალი

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ტომი რობრედო (9, ესპანეთი) 7:5 1:6 6:1 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო** (4, რუსეთი) — გილერმო კანასი (19, არგენტინა) 7:5 6:4 6:4

### ქალები
#### მეოთხედფინალი

**ანა ივანოვიჩი** (7, სერბეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (3, რუსეთი) 6:0 3:6 6:1; **ელენა იანკოვიჩი** (4, სერბეთი) — ნიკოლ ვაიდიშოვა (6, ჩეხეთი) 6:3 7:5; **ჟუსტინ ენინი** (1, ბელგია) — სერენა უილიამსი (8, აშშ) 6:4 6:3; **მარია შარაპოვა** (2, რუსეთი) — ანა ჩაკვეტაძე (9, რუსეთი) 6:3 6:4

## ჩაჩხუნაშვილი და ბევრი რუმინელი

**18 წლის** ქართველმა ჩოგბურთელმა სალომე ჩაჩხუნაშვილმა, ვისაც ორი წლის წინ WTA-ს რეიტინგში 1107-ე პოზიცია ეჭირა, რუმინეთის ქალაქ პიშტეტის თიხნარზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით მიმდინარე 10-ათასიანი შეჯიბრის ძირითად ბადეში გააღწია.

საკვალიფიკაციო ეტაპზე რუმინული წარმოშობის კანადელის, როქსანა ალექსადრუს 6:0 6:1 განადგურების შემდეგ, სალომემ უკვე ნაღდ რუმინელ დიანა-მადალინა ზანეასაც გადაუარა — 6:0 6:2 და ძირითად ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

პირველ წრეში ჩაჩხუნაშვილი ასევე რუმინელს, 18 წლისა და კლასიფიკაციაში 1193-ე ადგილზე მყოფ ნიკოლეტა-ანა-მარია ბარას შეხვდება და, თუ ამ გრძელსახელიან გოგოს მოუგებს, მეორე წრეში მორიგ მასპინძელს დაუპირისპირდება — ან მე-6 ნომრად განთესილ ალექსანდრა კანდატუს და ანაც — მადალინა ლუპუს.



## ჰიუიტმა ნადალი აღიარა

**რაფაელ ნადალთან** მეოთხე წრეში სამ სეტში დამარცხების შემდეგ ლეიტონ ჰიუიტმა პირდაპირ განაცხადა, ნადალს „როლან გაროსის" ტიტულის დაცვა არ გაუჭირდებაო.

„არანაირი" — უპასუხა ჰიუიტმა ჟურნალისტებს, რომლებიც ავსტრალიელს შეეკითხნენ, ესპანელის თამაშში რაიმე სისუსტე თუ დაიანხეთო.

ოზს სჯერა, რომ პარიზში რაფას წინააღმდეგ არც თავად როჯერ ფედერერს ექნება შანსი, რადგანაც აქაური საფარზე ესპანელი განსაკუთრებით კომფორტულად გრძნობს თავს:

„აქ ბურთი უფრო მაღალზე ვარდება ხოლმე კორტიდან, რაც მას დამატებით უპირატესობას ანიჭებს. ჰამბურგში პირიქითაა, რამაც იქ უპირატესობა ფედერერს მისცა და როჯერმაც ამიტომ მოიგო. თან იქ ბექჰენდიდან ყველა დარტყმა ჩააგდო. დარწმუნებული ვარ, იგივე თამაშით ნადალი აქ იოლად მოუგებს ფედერერს. მართალია, შვეიცარიელი ყველა საფარზე მაგრად თამაშობს, მაგრამ თიხნარზე რაფას მაინც ვერავინ შეედრება. თან მისი ფორჰენდი რაღაც სასწაულია — ერთი სტილის დარტყმით მისნაირად ამდენ ქულას სტაბილურად არა მგონია, ვინმე იგებდეს".

## ანდრეევის ფიქრები



**მარკოს ბაღდატისის** დამარცხებისა და საფრანგეთის ღია პირველობის მეოთხედფინალში გასვლის შემდეგ იგორ ანდრეევი მადაზე მოვიდა და განაცხადა, რომ ამიერიდან არც ერთ შეხვედრაში არ შეიძლება ფავორიტისა და აუტსაიდერის გამოყოფა.

„ახლა აშკარა ფავორიტი აღარავინაა. ყველამ ვიცით, რომ გამარჯვების თანაბარი შანსი გვაქვს. მთავარია, საკუთარი თამაში იპოვო, რაც წარმატების მთავარი საფუძველია" — გულზე მოსულა ანდრეევი.

რუსი არც ნოვაკ ჯოკოვიჩს უფრთხის და აცხადებს, რომ მასთან ჯახში გადამწყვეტი ფაქტორი ფიზიკური მზადყოფნა იქნება — ხუთსეტიან მატჩებში ეს ყოველთვის გადამწყვეტიაო.

ისე, ნეტავ საიდან მოიტანა ანდრეევმა, რომ ეს მატჩი, გინდა თუ არა ხუთსეტიანი იქნება?

## მოია ომის ბილიკზე

**დამდეგი** მეოთხედფინალის წინ ვეტერანი კარლოს მოია თავის ახალგაზრდა ოპონენტ რაფაელ ნადალს აფრთხილებს, რომ იოლ გასეირნებას არ ელოდოს:

„კორტზე ჩვენი მეგობრობის დავიწყებას ვაპირებ. იქ მოსისხლე მტრები ვიქნებით და ამიტომ ბოლომდე ვიბრძოლებ. რაფა ძალიან მაგარი კია, მაგრამ მაინც ვეცდები, ჩემი გავიტანო" — განაცხადა „როლან გაროსის" 1998 წლის ჩემპიონმა.

ისე, ეს მალიორკული დერბი მართლაც საინტერესო საცქერი უნდა გამოდგეს. თუმც მოიასადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, უნდა ვთქვათ, რომ აქ ჰიუიტის პროგნოზი უფრო მართებული მოჩანს.


AFP

# დი ლუკას ერთი ლუკმა: ჯირო და რეიტინგი

**სეზონის** სამი სუპერრბოლიდან პირველის, რიგით 90-ე „ჯირო დიტალიას" დასრულების შემდეგ, ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა (UCI) და „პრო-ტურის" სერიამ გამოაქვეყნეს ახალი რეიტინგები, რომელსაც სათავეში „ჯიროს" მომგები იტალიელი, „პრო-ტურის" სერიის შარშანწინდელი გამარჯვებული დანილო დი ლუკა ჩაუდგა.

მშობლიურ გზებზე ტრიუმფალური სვლით დი ლუკამ ერთბაშად 107 სარეიტინგო ქულა მოინაგრა, მესამე ადგილიდან პირველზე ისკუპა და 50 ქულით გაასწრო ძველ ლიდერს, თავის თანამემამულე დავიდ რებელინს.

„ჯიროზე" კარგი რბოლის წყალობით კლასიფიკაციაში პირველ ოცეულში შეაღწიეს დამიანო კუნეგომ, ენდი შლეკმა, რიკარდო რიკომ, პაოლო სავოლდელიმ, ჯილბერტო სიმონიმ, ალესანდრო პეტაკიმა და ედი მაცოლენიმ.

საღეისოდ პირველ ოცეულში რვა იტალიელი, ოთხი ესპანელი, ორ-ორი ავსტრალიელი, გერმანელი და ლუქსემბურგელი და თითო ბელგიელი და ჰოლანდიელია. აღსანიშნავია, რომ ლუქსემბურგის ორივე წარმომადგენელი ერთი ოჯახის წევრია — ძმები ენდი და ფრენკ შლეკები.

გუნდებს რაც შეეხება, ტოპ-ოცეულში სამ-სამი მრბოლი ჰყავდა დანიურ (CSC-ის, ესპანურ „სონი დიუვალის", გერმანულ „გეროლშტაინერსა" და ყაზახურ „ასტანას". „ჰოლანდიური რაბობანკი" უძლიერესთა შორის ორი ველოსიპედისტითაა წარმოდგენილი, ხოლო დი ლუკას „ლიქუიგასი" (იტალია), ესპანური „კაისე დეპარიგნი", ბელგიური „ლოტო" და „ქვიკ სტეპი", ამერიკული „დისქავერი" და იტალიური „მილრამი" თითო ტოპ-მრბოლით იწონებენ თავს.

## პრო-ტურის რეიტინგი

### მრბოლები

| | |
|---|---|
| 1. დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი) | 207 |
| 2. დავიდ რებელინი (იტალია, „გეროლშტაინერი) | 157 |
| 3. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაისე დეპარგნი") | 107 |
| 4. დამიანო კუნეგო (იტალია, „ლამპრე") | 87 |
| 5. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი") | 82 |
| 6. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | 81 |
| 7. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, CSC) | 79 |
| 8. შტეფან შუმახერი (გერმანია, „გეროლშტაინერი") | 75 |
| 9. რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი") | 71 |
| 10. პაოლო სავოლდელი (იტალია, „ასტანა") | 66 |
| 11. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | 63 |
| 12. ხუან ხოსე კობო (ესპანეთი, „სონი დიუვალი") | 62 |
| 13-14. ჯილბერტო სიმონი (იტალია, „სონი დიუვალი") | 61 |
| 13-14. რობი მაკიუენი (ავსტრალია, „ლოტო") | 61 |
| 15. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი") | 58 |
| 16. ტომ ბოონენი (ბელგია, „ქვიკ სტეპი") | 57 |
| 17. ალესანდრო პეტაკი (იტალია, „მილრამი") | 56 |
| 18. ტომას დეკერი (ჰოლანდია, „რაბობანკი") | 55 |
| 19. ედი მაცოლენი (იტალია, „ასტანა") | 54 |
| 20. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა) | 53 |

**გუნდები:** 1 CSC (დანია 193 ქულა; 2. ფპ2ძ (საფრანგეთი) 175; 3. ლიქუიგასი (იტალია) 174; 4. სონი დიუვალი (ესპანეთი) 163; 5. ასტანა (ყაზახეთი) 161; 6. დისქავერი (აშშ) 149; 7. კაისე დეპარიგნი (ესპანეთი) 148; 8. რაბობანკი (ჰოლანდია) 145; 9. ქვიკ სტეპი (ბელგია) 139); 10. T-მობაილი (გერმანია) 133.

**ქვეყნები:** 1. იტალია 588 ქულა; 2. ესპანეთი 357; 3. ავსტრალია 270; 4. გერმანია 241; 5. ლუქსემბურგი 187; 6. ბელგია 147; 7. ჰოლანდია 139; 8. რუსეთი 119; 9. ყაზახეთი 88; 10. სლოვენია 75.

# ტური და 21 გუნდი

**სეზონის** უმთავრესი რბოლის, „ტურ დე ფრანსის" ორგანიზატორებმა ოფიციალურად გამოაქვეყნეს იმ 21 ველოგუნდის სია, რომლებიც წლევანდელ „დიდ მარყუჟში" მიიღებენ მონაწილეობას. ჯერ კიდევ შარშან დეკემბერში შერჩეულ 18 გუნდს ორგანიზატორთა ნებით სამიც დაემატა — ყაზახური „ასტანა" და ფრანგული გუნდები „აგრიტიუბელი" და „ბერლოურდი".

ამრიგად, 7 ივლისს დასაწყებ „ტურზე" 189 ველოსიპედისტი (9 მრბოლი თითოეული გუნდიდან) მიიღებს მონაწილეობას.

ნახსენები სამის გარდა წლევანდელ „ტურზე" შემდეგი ველოგუნდები მიიღებენ მონაწილეობას: AG2R, „კრედიტ აგრიკოლი", „ბუჟ ტელეკომი", „კოფიდისი", „ფრანსაიზ დე ჟუ" (ყველა საფრანგეთი), „კაიესე დეპარგნი", „ეუსკალტელი", „სონი დიუვალი" (ესპანეთი), „ლიქუიგასი", „ლამპრე", „მილრამი" (იტალია), „გეროლშტაინერი", „T-მობაილი" (გერმანია), „ქვიკ სტეპი", „ლოტო" (ბელგია), CSC (დანია), „დისქავერი" (აშშ) და „რაბობანკი (ჰოლანდია).

# ვალვერდეს პიტი იუარა

**ბოლო ხანებში** აგროებული დოპინგ-სკანდალებისთვის ესპანური პრესა კიდევ ერთის დამატებას ცდილობს. კერძოდ, გავრცელდა ხმები, რომ ყბადაღებული ექიმის, ეუფემიანო ფუენტესის კლიენტთა შორის იან ულრიხთან და ივან ბასოსთან ერთად „პრო-ტურის" სერიის შარშანდელი გამარჯვებული, ესპანელი ალეხანდრო ვალვერდეც იყო.

ამ დასკვნამდე პირინეიელი ჟურნალისტები მას შემდეგ მივიდნენ, რაც ფუენტესის დავთარში მავანი ველოსიპედისტი აღმოაჩინეს კოდური სახელით „ვალვ-პიტი". ჰოდა, ესპანურ პრესას თუ დავუჯერებთ, „პიტი" ვალვერდეს ძაღლის სახელია.

თავად ვალვერდე, რომელიც მოახლოვებული „ტურ დე ფრანსისთვის" ემზადება და ამ სუპერრბოლის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად ითვლება, კატეგორიულად უარყოფს არათუ დოპინგის მიღების ფაქტს, არამედ ძაღლის, სახელად „პიტი" არსებობს.

„არ ვიცი ვინ დგას ამ ჭორების უკან, მაგრამ ვხედავ, რომ სურთ, ხელი შემიშალონ „ტურისთვის", მზადების პროცესში — ბრძანა „კაისე დეპარგნის" ლიდერმა და დაამატა —დიახ, მე ვიცნობ ექიმ ფუენტესს, მაგრამ არასოდეს მიმიღია მისგან დოპინგი".



# ჩემპიონებმა რიისი ჩემპიონად დატოვეს


ბიარნე რიისი

**მას შემდეგ,** რაც „ტური დე ფრანსის" 1996 წლის ტრიუმფატორმა, დანიელმა ბიარნე რიისმა აღიარა, რომ დოპინგს ღებულობდა, გახშირდა ხმები იმის თაობაზე, რომ დანიელს, შეიძლება 11 წლის წინ მოპოვებული ჩემპიონის წოდება ჩამოართვან.

დანიის ოლიმპიურმა კომიტეტმა რიისი უკვე დასაჯა და ქვეყნის სპორტის დიდების დარბაზიდან გამოიყვანა. რაც შეეხება მისთვის ფრანგული ტიტულის ჩამორთმევას, ამის წინააღმდეგ წარსულის მრავალი ცნობილი მრბოლი გამოვიდა. კერძოდ, „ტურ დე ფრანსის" 1991-95 წლებში ზედიზედ ხუთჯერ მომგებმა ესპანელმა მიგელ ინდურაინმა ბრძანა, რომ ის პატიოსან ბრძოლაში დამარცხდა და რიისს ღირსეულ გამარჯვებად თვლის. ანალოგიური განცხადება გააკეთა „ტურის" სამგზის (1986, 1989-90) ტრიუმფატორმა, ამერიკელმა გრეგ ლემონდმაც, რომელმაც აღნიშნა, რომ მაშინ ერითროპოეტინი აკრძალულ პრეპარატთა სიაში არ შედიოდა და ეგეც არ იყოს, თუ რიისს დასჯიან, ამის შემდეგ სხვა მრბოლები საკუთარი ინიციატივით ალარასოდეს გაამხელენ, დოპინგს თუ იღებდნენ.

# ბავარია, ბელგია, ნავარა

**„ჯირო დიტალიას"** პარალელურად, გასულ უქმეებზე რამდენიმე ერთკვირიანი რბოლა დასრულდა. ეს რბოლები „პრო-ტურის" სერიაში არ არიან და მათი შედეგები რეიტინგში არ აისახება, მაგრამ რამდენიმე სიტყვა მაინც ვთქვათ და გამარჯვებულები ვახსენოთ.

გერმანიაში ხუთდღიანი „ბავარიის ტური" ჩატარდა, რომელიც რბოლის მასპინძელმა, „გეროლშტაინერის" წევრმა შტეფან შუმახერმა მოიგო. წლეულს მშვენიერ ფორმაში მყოფმა შუმახერმა 9 წამით აჯობა „T-მობაილელ" თანამემამულე გრაბშს, ხოლო სხვა, უფრო ცნობილი გერმანელები ფოიგტი და კლოდენი, შესაბამისად, მესამე და მეხუთე ადგილებზე გავიდნენ.

ასევე ხუთდღიანი „ბელგიის ტური" კი ამერიკული „დისქავერის" რუსი მრბოლის ვლადიმირ გუსევის გამარჯვებით დასრულდა. გუსევის კარიერაში ეს მეორე მნიშვნელოვანი წარმატებაა — შარშან მან გერმანიაში გამართული „საქსონიის ტური" მოიგო.

ესპანეთში კი ექვსდღიანი „ვუელტა ნავარა" ჩატარდა და ევროტურის გუნდის, „ენე-ტონაცოს" იტალიელი მრბოლის ბიონდოს გამარჯვებით დასრულდა. მეორე ადგილზე გასულ ესპანელ ალვარესს ბიონდომ წუთითა და 13 წამით აჯობა.

# სტენლის თასის ფინალი




AFP ფოტოები

დასტინ პენერის გადამწყვეტი შაიბა „სენატორთა“ კარში

# ერთიც, და თასში იხვი ჩახტება

## ანაჰაიმი 3:1 ოტავა

**მეოთხე მატჩი**

**ოტავა 2:3 ანაჰაიმი**

*1:0 1:2 0:1*

1:0 ალფრედსონი (20, უმრ. შეფერი, ფიშერი), 1:1 მაკდონალდი (31, მარჩანტი, პერი), 1:2 მაკდონალდი (32, რ. ნიდერმაიერი, ოდონელი), 2:2 ჰიტლი (38, ივზი, სპეცა), 2:3 პენერი (45, სელიანე, მაკდონალდი)

სტენლის თასის გათამაშების იდეა ოტავაში კი დაიბადა, მაგრამ ისეთი პირი უჩანს, მშობლიური ქალაქის მაგივრად, თასი უახლოეს მომავალში კალიფორნიაში დაიდებს ბინას. „ანაჰაიმმა“ მოიპოვა თავისთვის ასე საჭირო გასვლითი გამარჯვება, სერიაში 3:1 დაწინაურდა და ახლა სანუკვარ ჯილდომადე მხოლოდ ერთი ნაბიჯიღა აშორებს.

გამორჩეულად ბინძური თამაშისთვის, უკვე მეორედ დასჯილი კრის პრონგერის გარეშე მოთამაშე „იხვებმა“ დაცვის ბურჯის არყოფნა არ შეიმჩნიეს და თითქოს ალმავლობის გზაზე მდგარი „სენატორები“ ისეთ უფსკრულში გადაუშვეს, საიდანაც ამოძრომა კანადელებს ერთობ გაუჭირდებათ. პრონგერის მოვალეობები სხვა უკანახაზელებმა — განსაკუთრებით კაპიტანმა სკოტ ნიდერმაიერმა და ფრანსუა ბიუშემინმა — გადაინაწილეს და მაქსიმუმი გააკეთეს, რომ გუნდს წამყვანი მოთამაშის არყოფნა არ დასტყობოდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ეს დუეტი ყინულს საერთოდ არ ტოვებდა.

„იოლი არ იყო, მაგრამ როდესაც გუნდს სჭირდება, ყველაფერი უნდა გააკეთო, თან თუ პლეი ოფში თამაშობ, მით უმეტეს, სტენლის თასის ფინალში. თუმც არ გვინდა, კრისის გარეშე თამაშს მივეჩვიოთ — ის ჩვენი ორგანიზაციის უდავო ლიდერია“ — გუნდური სულისკვეთების განსახიერება იყო ნამატჩევს სკოტ ნიდერმაიერი.

„ოტავას“ კი ახლა სასწაულიღა თუ უშველის. სტენლის თასის ფინალების ისტორიაში 29 შემთხვევიდან მხოლოდ ერთხელ იმარჯვა იმ გუნდმა, რომელიც 1:3-ს აგებდა. ეს ერთადერთი შემთხვევაც 65 წლის წინ მოხდა და იმ გმირობის ავტორი მეორე კანადური გუნდი „ტორონტო“ გახლდათ. ასე რომ, „სენატორთა“ შანსები თითქმის მიზერულია. მაგრამ „ოტავას“ კაპიტანი დანიელ ალფრედსონი იმედს არ კარგავს: „მძიმე სიტუაციაში კი ვართ, მაგრამ უნდა გადავეწყოთ, თავი მოვიკლათ და კალიფორნიაში ვიმარჯვოთ“.

არადა, საქმე აქამდე არც მივიდოდა, გუშინ „ოტავას“ ცოტა ჭკვიანურად რომ ეთამაშა და თავისი შანსები გამოეყენებინა. კანადურმა გუნდმა პირველ პერიოდში ქვა ქვაზე არ დატოვა „ანაჰაიმისგან“ და იმდენი მომენტი შექმნა, რომ მათი მესამედის გამოყენების შემთხვევაში სტუმრებს მატჩის გადარჩენის მისხალი შანსიც აღარ შერჩებოდათ. თუმც „სენატორები“ ხან პირისპირ გასვლებს ვერ იყენებდნენ, ხანაც შაიბას ცარიელ კარში ვერ ახვედრებდნენ. ამ ალიაქოთში მხოლოდ ალფრედსონმა იყოჩაღა, რომელმაც ანგარიში პირველი პერიოდის დასრულებამდე წამის მეათედით ადრე გახსნა.

მეორე ოცწუთეულში კი აშკარად მიჰქარა „ოტავას“ მწვრთნელმა ბრაიან მიურეიმ, რომელმაც გუნდს უკან დაწევა და ანგარიშის შენარჩუნება უბრძანა. „იხვებმა“, როგორც კი თავისუფლად იგრძნეს თავი, მთლად აიშვეს — აბა, „სენატორები“ როდის გამოირჩეოდნენ მყარი დაცვით, ეს მინიმალური უპირატესობა ახლა რომ შეენარჩუნებინათ. სტუმრების შემადგენლობაში განსაკუთრებით ენდი მაკდონალდი აქტიურობდა, რომელმაც ეს მატჩი ლამის მარტომ მოიგო — ამ ბიჭმა ოდენ პირადი ოსტატობის ხარჯზე დუბლი შეასრულა და კალიფორნიელები დააწინაურა. კანადელებს ძალიან გაუმართლათ, რომ მეორე პერიოდის შემდეგ არ აგებდნენ — დენი ჰიტლიმ სტუმართა იშვიათი შეცდომა გამოიყენა.

გადამწყვეტ პერიოდში კი „ანაჰაიმმა“ საყვარელი სტილი მოახვია თავს მასპინძლებს — თამაში მაქსიმალურად ჩაკეტა და ძალისმიერი ილეთებით, შიგადაშიგ ბინძური თამაშითა და ძლიერი პრესინგით სიტუაცია მაგრად აამღვრია. ასეთ გარემოს „იხვები“ უფრო ნაჩვევნი არიან და ამიტომაც იხეირეს — გოლიათმა დასტინ პენერმა იმავე მაკდონალდისა და სუპერვეტერან ტეემუ სელიანეს გარჯა დააფასა და გამარჯვებისა შეაგდო.

„ანაჰაიმმა“ ამ პლეი ოფში უკვე მე-12 მატჩი მოიგო ერთშაიბიანი უპირატესობით და ამით 1993 წლის „მონრეალისა“ და თავისივე 2003 წლის მიღწევა გაიმეორა. თუმც „იხვებს“ ეს ახლა ნაკლებად ალელვებთ — ერთი მოგებაც და...

**ქახა ლომაშვილი**

# ბელარუსები კარგად ისვრიან

ივან ტიხონი




**მინსკში** გამართულ ბელარუსის შიდა პირველობაზე უროს ტყორცნაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ივან ტიხონს დიდი ბრძოლა გაუმართა ვადიმ დევიატოვსკიმ და ამით მერამდენედ გამოჩნდა, რომ ამ ქვეყანაში ძალიან კარგად ეხერხებათ მძიმე საგნების შორს სროლა. კარგად გამოვიდა დევიატოვსკი, თავის საუკეთესო ცდაზე მან ურო 79,97 მეტრს იქით დასცა, მაგრამ ამით მხოლოდ ოდნავ თუ შეურყია ტიხონს ტახტი. მსოფლიოს ჩემპიონმა კონკურენტს უროს 81,03 მეტრზე გატყორცნით უპასუხა.

ქალთა შორისაც მოლოდინისამებრ იმარჯვა რეიტინგით საუკეთესომ, ოქსანა მენკოვამ, რომელიც ბელარუსის რეკორდს (76,88 მეტრი) ფლობს. ამჯერად ოქსანამ 73,94 შედეგი აჩვენა და ორ მეტრზე მეტით აჯობა კონკურენტთა შორის უყოჩაღეს მარინა სმალიაჩკოვას.

კარგ ფორმაშია ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი ბადროს ტყორცნაში ირინა იატჩენკო. ის ყოველ ტურნირზე აუმჯობესებს შედეგებს და ახლაც სამჯერ გადააცილა ბადრო 60 მეტრიან ნიშნულს. მისი საუკეთესო ტყორცნა 63,80 მეტრი იყო.

# მარათონი როკერებში

**მარათონულ** რბენას უმასპინძლა სამხრეთკალიფორნიულმა მზიურმა ქალაქმა სან დიეგომ. რბენაში არაერთი მსოფლიო დონის მარათონელი მონაწილეობდა და შედეგებიც გვარიანი გამოვიდა.

მარათონს ცოტა უცნაური სახელი ერქვა — „როკ ნ როლის მარათონი“. როკერთა ქალაქის ქუჩებში სირბილის სურვილი სულ 17 800 ადამიანმა გამოთქვა. მართალია, ამ ზღვასავით მასის მხოლოდ უმცირესმა ნაწილმა მიაღწია ფინიშამდე, მაგრამ სანახაობა მაინც ლამაზი გამოვიდა და მაყურებელიც ბლომად დაესწრო.

კაცთა შორის იმარჯვა კენიელმა დანიელ იეგომ, ვინც 42,195 კილომეტრი 2 საათში, 9 წუთსა და 4 წამში დაფარა და თითქმის ორი წუთით მიასწრო ფინიშთან ასევე კენიელ კრისტოფერ ჩებოიბოჩს. სათქმელია; რომ პირველი 8 ადგილი ერთიანად კენიელებმა დაინაწილეს. ქალთა შორის კი აფრიკელებმა არათვისტომიც ჩაიზიარეს. კენიელმა ჰელენ კიმუტაიმ კი მოიგო, მაგრამ 2:32.5 შედეგის მაჩვენებლი ფრანგი სვეტლანა პრეტო მან 10 წამზე მეტით ვერ ჩამოიტოვა.

# ვერბალური ხიდი

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგი თავის მრავალწლიანი პრეზიდენტობისას საქმიანი ვიზიტით პირველად ეწვია მძლეოსნობის საერთაშორისო ასოციაციას (იააფ) თავის შტაბბინაში, მონტე კარლოში, სადაც ის მძლეოსნობის მეთაურ ლამინ დიაკს შეხვდა. რაზე ისაუბრა მსოფლიო სპორტის ორმა დიდმოხელემ, ეს ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს, მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ აქამდე თითქოს უბრად მყოფ ამ ორ ფედერაციას შორის ლაპარაკის ხიდი გაიდო.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოტხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე
გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კუთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვილი, ლია ბეჩელაძე, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრიშვილი, რუსუდან ქრისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge